საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 1-2 თებერვალი. 2020 წ. №19 (8945) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

რა ადუღებულ დროში ვცხოვრობთ!

კოტე ინაშვილი:

ნაცებს ციხეში ნარკოტიკები შეაქვთ, იგეგმება პატიმრების სიკვდილი!

მამუკა არეშიძე:

ეს ოპოზიციის ნამუშევარია...

3

ნუგზარ ფოფხაძე:

ოსვენციმი... ვიკიპედია და... ჩემი კუკური...

გური სულთანიშვილი:

„გაბედე“, „შეცვალე“, „სირცხვილია“ - „კმარას“ ხერხებით მოქმედებენ!

4

როგორ ჩნდება ახალი ვირუსი

და რა უნდა ვიცოდეთ გლობალური ეპიდემიების შესახებ?!

5

იგორ დავიდოვი:

მე სტალინის შვილიშვილი ვარ!

7

„ქართუს“ საქველმოქმედო მილიონები – ქუთაისს!

12

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ქალბატონო ელჩო!

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანსა და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცა.

„ელჩ კელი დეგნანს პატივი ხვდა, რწმუნებათა სიგელი წარედგინა საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანისა და საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისთვის.

დღეიდან ელჩი დეგნანი ოფიციალურად შეუდგება საქართველოში შეერთებული შტატების მისიის ხელმძღვანელზე დაკისრებული უფლებამოსილების შესრულებას“.

* * *

დავით ზალკალიანი: მივესალმები აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის ჩამობრძანებას საქართველოში, ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა და მნიშვნელოვანია, რომ ის არის უაღრესად გამოცდილი დიპლომატი და დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ უფრო ძლიერ იმპულსს მისცემს საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას.

ამერიკის ელჩი: ჩემთვის დიდი პატივია, რომ დღეს შევხვდი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები აქ და ვიწყებ მუშაობას მინისტრთან და საქართველოს მთავრობასთან ერთად ძალიან დატვირთული დღის წესრიგით. ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ დავეხმაროთ საქართველოს, განაგრძოს დასავლეთში ინტეგრაცია, რომ გაუმკლავდეს რუსეთის მიერ განხორციელებულ დესტაბილიზაციისკენ მიმართულ ქმედებებს და მცდელობას, ჩაშალოს საქართველოს მიერ წლების მანძილზე უდიდესი შრომით მიღწეული პროგრესი. რა თქმა უნდა, ასევე ვიმუშავებთ საქართველო-აშშ-ს შორის ურთიერთობების გასაძლიერებლად. ჩვენ გვაკავშირებს ძალიან ხანგრძლივი და ძლიერი პარტნიორობა და ვაპირებ, რომ ჩემი და მინისტრის გუნდების დახმარებით კიდევ მეტად გავაძლიეროთ ეს ურთიერთობები.

ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე მინიმალურ ნიშნულს უახლოვდება!..

საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის გამო შპს „ენგურჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის გარშემო შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„დღევანდელი მდგომარეობით, ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე 439 მეტრს შეადგენს. შესაბამისად, დარჩენილი რესურსისა და მდინარის შემოდინების გათვალისწინებით, ენგურჰესი და ვარდნილჰესი აფხაზეთის მოხმარების სრულ დაფარვას ვერ ახერხებს. სწორედ ამიტომ, აფხაზურმა მხარემ ელექტროენერგიის შეზღუდვა დაიწყო და 4-საათიანი მარაოსებრი გრაფიკი დააწესა.

აღსანიშნავია, რომ ენგურჰესის წყალსაცავში წყლის მინიმალური დონე 420 მეტრია. როდესაც წყალი ამ ნიშნულს მიუახლოვდება, ჰესის მუშაობა შეიზღუდება, რაც დღე-ღამეში, შემოდინების შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმესაათიან დატვირთვას გულისხმობს“.

გაზაფხულზე გიორგი გახარიას ვიზიტი ვაშინგტონში საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე მიანიშნებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ვიზიტი ვაშინგტონში მიანიშნებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში, – ამის შესახებ ამერიკული გამოცემის, „ჰილის“ სტატიაშია აღნიშნული.

სტატიის თანახმად, ვაშინგტონში ქართველი მაღალჩინოსნების მოსალოდნელმა ვიზიტებმა შესაძლოა, ხელი შეუწყოს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის წინსვლას. გამოცემა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის, საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის, ასევე პრემიერ გიორგი გახარიას მოსალოდნელ ვიზიტებზე ამახვილებს ყურადღებას.

„საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე მომდევნო კვირას „ლოცვის შემდგომ საუზმეს“ (National Prayer Breakfast) დაესწრება და კაპიტოლიუმში კონგრესის მნიშვნელოვან წევრებთან შეხვედრას გამართავს. საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი აპირებს, დაესწროს მაღალი დონის დისკუსიას – გლობალური რელიგიური თავისუფლება ამერიკის ახლო მოკავშირეებთან ერთად, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს მხარდაჭერით იმართება. გაზაფხულზე კი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ვიზიტი ვაშინგტონში მიანიშნებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში“, – აღნიშნულია სტატიაში.

არჩილ თალაკვაძე ბონი გლიკს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების

სააგენტოს (USAID) დირექტორის მოადგილეს ბონი გლიკს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და „იუესეიდს“ (USAID) შორის თანამშრომლობის სექტორული მიმართულებები, მიღწევები და პრიორიტეტები განიხილეს.

მხარეები მიესალმნენ „იუესეიდის“ ახალ პროგრამას, რომელიც ქალთა და ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერას ითვალისწინებს. შეხვედრაზე საუბარი ასევე, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებსა და საქართველოს პარლამენტის დღის წესრიგს შეეხო.

არჩილ თალაკვაძემ ბონი გლიკს მადლობა გადაუხადა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ირაკლი კობახიძე: რეზოლუციის პროექტიდან სიტყვა „პროპორციული“ ამოღებულია

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საარჩევნო სისტემის საკითხზე კონსულტაციების გაგრძელების მოწოდებით გამოვიდა. ამის შესახებ სტრასბურგში ვიზიტით მყოფმა საპარლამენტო დელეგაციის წევრმა, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„პირდაპირი ტექსტით ეწერა პროექტში, რომ უნდა შეთანხმებულიყვნენ პოლიტიკური პარტიები 2020 წელს პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. სიტყვა „პროპორციული“ ამოღებულია, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო სისტემის შერჩევა არის სახელმწიფოს სუვერენული უფლება. მოგვიწოდებენ, რომ გავაგრძელოთ ჩვენ კონსულტაციები და მივაღწიოთ შეთანხმებას საარჩევნო სისტემის საკითხზე. იმედი გვაქვს, რომ კონსულტაციების საფუძველზე შევთანხმდებით“, – განაცხადა კობახიძემ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს საქართველოს მცოცავი ანექსია

ევროსაბჭოს **საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ის მოითხოვს რუსეთს ფედერაციისგან, დაუყოვნებლივ შეწვიტოს საქართველოს ტერიტორიების მცოცავი ანექსია.**

საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია შეშფოთება რუსეთის ფედერაციის ქმედებების მიმართ, რაც ძირს უთხრის საერთაშორისოდ აღიარებულ ვალდებულებებს.

„რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის გავლებას და საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავ ანექსიას“, – ნათქვამია რეზოლუციაში.

ამავდროულად, დაგმობილია რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღებულ კონფლიქტში სეპარატისტების მხარდაჭერა. რეზოლუციის შინაარსს კატეგორიულად არ დაეთანხმა რუსეთის დელეგაცია, თუმცა საპარლამენტო ასამბლეამ რეზოლუცია 49 ხმით 17-ის წინააღმდეგ მიიღო. **საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია დაეფუძნა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ჩატარებულ მონიტორინგის შედეგებს. ეს ქვეყნებია: საქართველო, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, თურქეთი და სერბეთი.**

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ახალი ხელმძღვანელი თამარ არჩუაძე წარადგინა.

ნათია თურნავას განცხადებით, თამარ არჩუაძეს ავიაციის სექტორში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და მრავალი წელია, ამ დარგის კურატორად მუშაობს.

„მინდა, წარგიდგინოთ „აეროპორტების გაერთიანების კომპანიის“ ახალი ხელმძღვანელი თამარ არჩუაძე – ძალიან გამოცდილი და ახალგაზრდა პროფესიონალი ქალბატონი, რომელიც დარგს კარგად იცნობს. ამ დრომდე თამარი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, დღეიდან კი ახალი ენერგიით შეუდგება „აეროპორტების გაერთიანების“ მართვას. ჩვენ ერთად და უფრო ეფექტურად მივხედავთ ჩვენი აეროპორტების ინფრასტრუქტურას“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ქართველი მძღოლები საზღვარგარეთ აღიარებული სერტიფიკატების მიღებას შეძლებენ

საქართველოში გაიხსნება ტრენინგცენტრი, სადაც ქართველი მძღოლები საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სერტიფიკატებს მიიღებენ.

„მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში ამ ცენტრის მშენებლობას დავიწყებთ. საუბარია ჩვენი სახმელეთო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ეგიდით სწავლებაზე, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. ჩვენი ქართველი მძღოლების სერტიფიცირება და მათი ევროპულ ბაზრებზე დასაქმება საკმაოდ მოთხოვნადია. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამისთვის ცალკე ტრენინგცენტრი უნდა არსებობდეს. ქართველი მძღოლები, ლოჯისტიკური მენეჯერები და სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა პროფესიების ადამიანები გადამზადდებიან ამ ცენტრში და ეს სერტიფიკატები აღიარებული იქნება მთელ მსოფლიოში“, – განაცხადა მინისტრმა ნათია თურნავამ.

გამოცოცხლდება თუ არა ბოლო დროს ჩამკვდარი სამშენებლო ბიზნესი?

სიახლე მუნიციპალურ დონეზე



სამშენებლო ბიზნესის ირგვლივ რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არც წელსაა მოსალოდნელი. ფასი, რა თქმა უნდა, ვერ მოიმატებს, რადგან მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა დაბალია, ხოლო საფინანსო შეზღუდვების შემსუბუქების მხრივაც ჯერ არაფერი იგეგმება.

საბანკო საქმის მოწესრიგება ერთ-ერთი ის ფაქტორია, რის გამოც უძრავი ქონების სფერო კრიზისში მოექცა. ამას დამატებული, შარშანდელი რთული ეკონომიკური მდგომარეობა და სამშენებლო სექტორი მეტად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. დარგის სპეციალისტები აცხადებენ, რომ საბანკო საქმის მოწესრიგებამ სამშენებლო სფეროს დიდი დარტყმა მიაყენა.

უძრავი ქონების ექსპერტი **ზოთა გუჯაბიძე** ამბობს, რომ ბაზარზე ამჟამად საკმაოდ არაპროგნოზირებადი ვითარებაა და როგორ გაგრძლდება ვითარება, რთული სათქმელია.

„ძალიან რთულია კონკრეტული პროგნოზების გაკეთება, რადგან ამ ეტაპზე არსებული ვითარება არის საკმაოდ არაპროგნოზირებადი. საახალწლო ეიფორიებმა ჩაიარა და გაზაფხულის ბოლომდე ფასები უმნიშვნელოდ მოიმატებს, თუმცა ეს იქნება სეზონური ფასთაშორის სხვაობებით გამოწვეული ბალანსი.

რაც შეეხება გრძელვადიან პროგნოზს, რთული იქნება ცალსახად თქმა, რა გველოდება. ყველაფერი ფინანსურმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად შეცვალა და როგორ გაგრძელდება ყველაფერი, რთული სათქმელია. ეს არა მარტო უძრავ ქონებას, არამედ უმეტეს ეკონომკურ დარგებს ეხება“, – განაცხადა გუჯაბიძემ.

საბანკო საქმის მოწესრიგების შერბილება არააერთხელ დაანონსდა, თუმცა მისი გადახედვა ჯერჯერობით არ მომხდარა. არადა, ეს სწორედ ის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რის გამოც უძრავი ქონების ბიზნესი ვეღარ ვითარდება.

საკანონმდებლო დონეზე არა, მაგრამ დეველოპერებისთვის მაინც არის სიახლე მუნიციპალურ დონეზე – პირველი მარტიდან თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური მოქალაქეებს ერთი ფანჯრის პრინციპით – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით მოემსახურება. ამან შეიძლება კარგი მუხტი შეიტანოს სამშენებლო ბიზნესში.

საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის წარმომადგენელი **თორნიკე აბულაძე** აღნიშნულ ცვლილებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და აცხადებს, რომ კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები მოგვარდება, რადგან გაიზრდება თანამშრომლების რიცხვი და დაჩქარდება ის სამუშაოები, დროში რომ ჭიანურდებოდა.

თორნიკე აბულაძე მიიჩნევს, რომ ბიუროკრატიასთან დაკავშირებულ პრობლემას, რომელსაც ურბანულ სამსახურში აწყდებიან, ახალი გადაწყეტილება შეცლის. შესაბამისად, გამოასწორებს, როგორც კომუნიკაციის, ასევე საქმის დროულად განხილვის პროცესს.

„ურბანული სამსახურის სსიპ აუცილებლად უნდა არსებობდეს. ერთი ფანჯრის პრინციპის პრობლემა გვაქვს და ეს ცხადია. ცვლილება შეცვლის იმ მხარეს, რომ გაეზრდებათ ხელფასები თანამშრომლებს, ეს მათ გაუჩენს მიზანს, რომ იმუშაონ.

როგორც კი ეს მხარე მოწესრიგდება, გაიზრდება თანამშრომლების რაოდენობა და 1 ადამიანი, რომელსაც საქმე თავზე ეყარა და ვერ ასწრებდა დროულად კონკრეტული საქმის გაკეთებას, შეუმსუბუქდება სამუშაო და ვადებში ჩაჯდება. კონკრეტული საქმის განხილვას თუ სჭირდება 3 თვე, ისინი კადრების ნაკლებობის გამო უნდებოდნენ 1 წელი. აი, ეს შეიცვლება და თავისთავად მოგვარდება ის ძირითადი პრობლემები“, – ამბობს თორნიკე აბულაძე.

ბექა დანელია

ეს ოპოზიციის ნამუშევარია...

ბოლო **რამდენიმე დღეა, საქართველოს მთავრობა ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენებისგან წერილებს იღებს. წერილში კონგრესმენები და სენატორები წერენ, რომ დიდი ხანია, საქართველოს დემოკრატიული რეფორმების და დასავლური ინტეგრაციის მხარდამჭერები არიან, თუმცა, შეშფოთებული არიან დაპირებული დემოკრატიული რეფორმების უკან წაღების გადაწყვეტილებისა და მშვიდობიან დემონსტრანტებთან დაკავშირებული ძალადობის გამო.**

ვინ დგას წერილების უკან, ემუქრება თუ არა საქართველოს ევროპისკენ სწრაფვას საფრთხე და რა სარგებლობას იღებს ამით რუსეთი — ამ თემებზე ანალიტიკოსმა მამუკა არეშიძემ „რეპორტიორთან“ ინტერვიუში ისაუბრა.

— ძვეყნისთვის არის თუ არა საფრთხის შემცველი ამერიკელი კონკრესმენების და სენატორების წერილები, რომლებსაც რამდენიმე დღეა, საქართველოს მთავრობა იღებს?

— კონგრესმენების წერილები საფრთხის შემცველია. ერთია, როდესაც რამდენიმე კონგრესმენი წერს, მეორე, როდესაც შესაბამისი საგარეო უწყების კომიტეტის ხელმძღვანელობა. ერთ მშვენიერ დღეს მათ შეუძლიათ სერიოზული ბერკეტები აამუშაონ ჩვენ წინააღმდეგ, რადგან მაღალი რანგის ამერიკული ელიტის წევრები აწერენ ხელს. ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნის განვითარებაზე ძალიან იმოქმედებს.

— ხედავთ თუ არა ოპოზიციის და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის კავშირს ამ წერილებთან?

— ყოველთვის შეიძლება ლობისტური კომპანიების მუშაობის კვალის ნახვა. ეს ნიშნავს იმას, რომ ძალიან ცუდ და სახიფათო პროცესთან გვაქვს საქმე. ოპოზიცია შეშფოთებული არაა, ოპოზიცია გახარებულია ამ წერილებით. ეს ოპოზიციის ნამუშევარია და მასთან აფილირებული იმ არასამთავროების, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. სხვათა შორის, არამარტო ქართული არასამთავროები, საკმაოდ დიდი ფული იხარჯება შესაბამისი იმიჯის შექმნაში. პლუს, ამას ერთვის ცალკეული შეცდომები, რაც ხელისუფლების მხრიდან იყო დაშვებული. ყველაფერი ეს კი ბევრად უფრო მუქი სურათის წარმოდგენას იძლევა, ვიდრე ესაა.

— წერილების ავტორების რეპუტაცია არის თუ არა გასათვალისწინებელი?

— ბევრი შეიძლება ვისაუბროთ ამ საკითხზე. მაგალითად, ის კონგრესმენი, რომელიც ასეთ წერილს წერს, არის აზერბაიჯანთან მეგობრობის ჯგუფის წევრი და აზერბაიჯანში შექმნილ ვითარებაზე ხმას არ იღებს, როცა დემოკრატიასთან დაკავშირებით ბევრად საყურადღებო პრობლემებია იქ. მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას. ხელოვნურია ბევრი რამ და ეს იგრძნობა. ჩვენ შეგვიძლია იმ პირებს, რომლებიც ხელს აწერენ, უამრავი ბნელი ლაქა აღმოვუჩინოთ ბიოგრაფიაში, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის. პატარა ქვეყანა ვართ, ის არის ჩვენი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მეგობრები, უამრავი რამ გაუკეთებია საქართველოსთვის და ახლა იმაზე საუბარი, ვის რა დანაშაული, ლაქა აქვს ბიოგრაფიაში, სისულელეა.

— მთავრობის შეცდომა ახსენეთ, რაში ხედავთ პრობლემას?

— მთავრობამ დაუშვა შეცდომა, რომ ლობისტური სისტემა არ შექმნა. თავიდანვე უარი თქვა ამაზე. არ შეიძლებოდა ამის დაშვება. სამწუხაროდ, დღეს მსოფლიო პოლიტტექნოლოგიებით იმართება.

— ამ პროცესებში რუსეთის მთავრობის მიზნებს თუ ხედავთ?

— ეს წერილები რუსეთის წისქვილზე უშვებს წყალს იმ თვალსაზრისით, რომ ამ წერილების ტონი ისეთია, როგორიც ახასიათებს ამერიკულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს. ამის გამო მათ ხშირად აქვთ პოლიტიკურ ელიტასთან უსიამოვნება. თუმცა, ეს ვითარებას არ ცვლის.

ახლა წარმოდგინეთ, ამერიკამ დახმარება შეუწყვიტა საქართველოს. ეს ხომ არ იქნება კარგი?! რუსეთის წისქვილზე უშვებს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამაზე შეიძლება ქვეყნის შიგნით ვისაუბროთ. როდესაც ვხედავთ, რომ დასავლეთის ქმედება ხშირად არის არაშესაბამისი, რომ რუსეთის წარმომადგენელი ევროპის საპარლამენტო ანსამბლეის ხელმძღვანელის მოადგილე ხდება და არ გადის რუსეთის სანქციების საკითხი ევროპულ სტრუქტურებში, უნდა მივხვდეთ და გადავეწყოთ. რაც მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულ წილად უნდა მივიღოთ ის თამაშის წესები, რომელთაც აწესებს ჩვენი სტრატეგიული მეგობარი.

— რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ წერილების საპასუხოდ?

— ჩვენ ერთსულოვანი უნდა ვიყოთ წერილის სულისკვეთების გარშემო და შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. რაც ტყუილია, იმის დეზავუირება უნდა მოხდეს და რაც სიმართლეა, იმის გამოსწორებაზე იზრუნოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. ამაში კი, ყველა რესურსი უნდა იყოს გამოყენებული.

ესაუბრა
მარიამ გელაშვილი

ოსვენციმი... ვიკიპედია და... ჩემი კუკური...

* * *

ოსვენციმი **არ გაუთავისუფლებია საბჭოთა ჯარს... და ამ „ჭეშმარიტების“ საწინააღმდეგო ფოტომასალა წაიშლება ვიკიპედიაშიო, ამტკიცებს გაოცებული ბალტიისპირელი ჟურნალისტი.**

ოსვენციმი გაანთავისუფლეს ამერიკელებმაო, აცხადებს აშშ-ის საელჩო დანიაში. თუმცა მერე ბოდიშს იხდის, მაგრამ ეს „მტკიცება“ მის საიტზე ისევ განთავსებულია.

— ვიკიპედია ამერიკული არაკომერციული კერძო სტრუქტურაა. ამიტომ, რაც უნდა, იმას აკეთებს: ვისაც გინდა, ოსვენციმს იმას გაათავისუფლებინებს, გინდა ახლიდან „გახსნის“. გინდა ლვოვში სტალინს შეახვედრებს ჰიტლერს და გინდა კახურ ჩურჩხელას სომხურ უძველეს კულტურულ „ძეგლად“ გაასაღებს — ცდილობს კუკური ჩემს განათლებას. გამანათლოს...



— რატომ, რა უფლებითმეთქი, ვეკითხები და ვიღებ პასუხს: იმიტომ რომ, თუ ქალაქურ ჟარგონს მოვიშველიებთ, „ხოში“ აქვს ასეთი და ყურებზე ხახვსაც ვერ დააჭრიო...

და ასეთ ტიპაჟს, რომელსაც ზნეობრივად და მატერიალურად მხარს უჭერს ოფიციოზი, — გულნატკენი აგრძელებს ჩემი ყოვლისმცოდნე და მუდამ მიუკერძოებელი კუკური, პრეტენზია აქვს, ჭკუა ასწავლოს სხვას და განაგრძობს: თანაც, ის და ოფიციოზის მხარდაჭერილი არაერთი სხვა სტრუქტურაც, ითხოვს, რომ ბრმად ენდო მის ინფორმაციას, მის გამოკვლევებს და... დაიჯერო, თუნდაც მისი ისეთი „ბომბი-აღმოჩენა“: პრაქტიკულად, ერთ ჩვეულებრივ, მინიმალურად არაპოპულარულ პოლიტიკოსზე თურმე ისე „გიჟდება“ მთელი საქართველო, რომ იგი პირველობს პოლიტიკოსთა რეიტინგის სიაში...

— დააკვირდიო, მომიწოდებს მეგობარი, თუ ოდნავ მაინც გაბედავ და სულ პაწია ეჭვს შეიტანთ ამ სტრუქტურის მიერ მოწოდებულ „ჭეშმარიტებაში“, ჯერ ყურს აგიწევს და დაგტუქსავს; მერე მედიაში მოგთხრის და გაიქცევა საჩივლელად თავის ლობისტ-მფარველებთან. ისინი აქოთქოთდებიან, გამოვლენ ტრიბუნაზე, ბრიფინგებზე, გადაიჭრიან ვენებს ინტერვიუებში და შენს მთავრობას ულტიმატუმით აღსავსე წერილებს გამოუგზავნიან; ლიდერებს დაემუქრებიან სანქციებით, საზღვარგარეთის ქვეყნებში არშეშვებით, პირადი საბანკო ანგარიშების დაყადაღებით, „შავ სიაში“ შეყვანით; ამის შემდეგ მოგიქსევენ და ორკესტრირებულად ააყაყანებენ ადგილობრივ ენაგატლეკილ, უტიფარ, ბრიყვ და გახრწნილ Tako-შაკო - ნინო - სულხან - ნინიების „ბანდას“; თუ ამ „წარღვნას“ თავი მაინც არ წაალეკინე, მაშინ ელოდე „ფერად რევოლუციას“ და ამ მასების „ბუნებრივ, გულიდან ამოხეთქილ, კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არგასულ პროტესტს“ დაერქმევა დემოკრატიისთვის მასების ბრძოლა, რომელიც, „აუცილებლად“ ყველაზე არასასურველი ლიდერების პოლიტიკური განადგურებით უნდა დამთავრდეს...

შენ გგონია, „გამპრავებელს“ ვერ იპოვის? ვაზელინის დეფიციტიაო ქვეყანაში, აგრძელებს მტკიცებას ჩემი კუკური და... პირადად მე (ისევე, როგორც ბევრი ჩემნაირი) ვერც ვერაფრით ვეწინააღმდეგებიო მავანთ, რამეთუ... მერკანტილური მიზანიც მამოძრავებს: არ მინდა, დაიკარგოს საქართველოში შემომავალი მრავალათასიანი გრანტები, დახმარებები, კრედიტები, საჩუქრები, რათა არ დააკლდეს ერთი ცენტ-კაპიკი „პრეზერვატივების პრინცესებს“, „ბაზრობების დედოფლებს“, იმ შტატიან პროვოკატორ „გამპრავებლებს“, ექსპერტებს, ადვოკატებს, რომლებიც ერთ მხრივ ტელეეკრანს არ შორდებიან თავიანთი „სიბრძნით“, მეორე მხრივ კი წურბელასავით წუწნიან „ელექსირის მილს“.



— შეერგოთ დედის რძესავით, ასკვნის ჩემი მეგობარი, მაინც „ჩვენიანები“, ქართველები არიან, ჭამონ, დალიონ, მოწიონ, ჩაიცვან, იგრიალონ!

— ეჰ, ძნელად, მაგრამ მაინც გეთანხმები, ჩემო ბრძენო და ყოველთვის მართლისმთქმელო კუკური?!

ნუგზარ ფოფხაძე

კოტე ინაშვილი: ნაცებს ციხეში ნარკოტიკები შეაქვთ, იგეგმება პატიმრების სიკვდილი!

ჟურნალისტი **კოტე ინაშვილი** სოციალურ ქსელში სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი თქმით, სააკაშვილის რეჟიმის მიერ დავერბოვკებული ნასედკების (დამსმენების და შემსრულებლების) მიერ იგეგმება ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრების მიზნობრივად სიკვდილი ამ ნივთიერებების საშუალებით.

SOS!!!

სააკაშვილმა თვითმფრინავის ტრაპიდან მოგვაძახა: — მე ისევ ციხის თემებიდან დავბრუნდები და აღვდგებიო. ლომჯარიამ ეს დაიჯერა და ინსტრუქციის მიხედვით, ნაცების მიერ ციხეებში და თავისუფლებაზე მყოფი დავერბოვკებული ნასედკების და დამსმენების ინსტიტუტი ჩართო. საბოტაჟის დაწყება უნდათ „ჯიგრებს“, მაგრამ ვერც ქალბატონთეა წულუკიანს შევაქებ, როგორც უფლებადამცველი, თუ ერთი მეტად სერიოზული და პატიმრებისათვის საშიში ფაქტი არ ავხსენი.

შესაძლოა, ზოგიერთმა პატიმარმა გამკიცხოს, ვისთვისაც სულ ერთია კვლავ „დედამოხნული“ ნაცები დაატერორებენ ქვეყანას, თუ ჩვენი მომავალი უკეთესობისკენ შეიცვლება (ასე რომ, კარგად გაიგონ, რასაც ვამბობ!). სათქმელს ვიტყვი. ჩემი წყაროს უტყუარი ინფორმაციით, საქართველოს ციხეებში, კვლავ არალეგალურად შედის უმძიმესი ნარკოტიკები სხვადასხვა გზით. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ დავერბოვკებული ნასედკების (დამსმენების და შემსრულებლების) მიერ იგეგმება ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრების მიზნობრივად სიკვდილი ამ ნივთიერებების საშუალებით.

სძემა ასეთია:

— საქართველოს სხვადასხვა ციხეებში, „ნასედკა“პატიმრები ნარკოტიკების მომხმარებელ სხვა პატიმრების ლიკვიდაციას მოახდენენ ნაციონალების დავალებით, რაც გამოიწვევს პატიმართა ოჯახების, მათი ახლობლების და საზოგადოების აღშფოთებას და სამოქალაქო ბუნტს!

მივმართავ იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს და ხელისუფლებას. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, სიფხიზლე და გონებამახვილობა, რათა საპატიმროებში არ მივიღოთ პატიმართა გარდაცვალების ფაქტები, რასაც ნაციონალური მოძრაობა და მათი სახალხო დამცველი, ქალბატონი ლომჯარია, ე.წ.ნაც-NGO-ების და მათი მედიასაშუალებების დახმარებით ცდილობენ“, — წერს კოტე ინაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

გური სულთანიშვილი: „გაბედე“, „შეცვალე“, „სირცხვილია“ – „კმარას“ ხერხებით მოქმედებენ!

„გაბედე“, „შეცვალე“ „სირცხვილია“! ეს ახალგაზრდული მოძრაობები იგივე მეთოდებით მოქმედებენ, როგორც „კმარა“, უბრალოდ თუ „კმარას“ შემთხვევაში ეს იყო ტრაგედია, ახლა ის ფარსია, იმიტომ რომ ის დროც აღარაა, სახელმწიფოც აღარაა სუსტი და მხოლოდ სიმულაციაა ეს ყველაფერი“ — ამბობს ფილოსოფოსი გური სულთანიშვილი POSTV-ის ვიდეობლოგში.

ვიდეობლოგის ავტორი მიშისტური ახალგაზრდული მოძრაობების სტრატეგიაზე საუბრობს. გური სულთანიშვილის თქმით, ახალი სტრატეგია შემდეგია, უნდა იყოს სხვადასხვა პარტიის ბევრი ახალგაზრდული ძალა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ნაციონალების და ევროპული საქართველოს მიერ ორგანიზებული ძალები.

„მარქსი წერს შემდეგ რამეს, ჰეგელი სადღაც აღნიშნავს, რომ ისტორია მეორდებაო,მაგრამ მე დავამატებ, ერთხელ როგორც ტრაგედია და მეორედ როგორც ფარსიო.უმეტესობა თქვენგანს გემახსოვრებათ საზოგადოებრივი მოძრაობა „კმარა“, ახლა კი ნეოკმარელების დროა, გაბედე, შეცვალე და სირცხვილია ეს ახალგაზრდული მოძრაობები იგივე ხერხებით მოქმედებენ, უბრალოდ თუ პირველად „კმარას“შემთხვევაში ეს იყო ტრაგედია, ახლა ის ფარსია, იმიტომ რომ ის დროც აღარაა,სახელმწიფოც აღარაა სუსტი და მხოლოდ სიმულაციაა ეს ყველაფერი.

მახსოვს, 2012 წლიდან, როდესაც შეიცვალა ხელისუფლება, როგორ გამოჩნდა სცენაზე თავისუფალი ზონა, ეს იყო კობა ხაბაზის და ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდების ძალა, რომლებიც პროვოკაციებით, რუსეთი ოკუპანტიას ძახილით, სტიკერებით და ყვირილით დარბოდნენ აქეთ-იქით. რა თქმა უნდა, მაშინ ყველას უადგილოდ ეჩვენებოდა ეს ჯგუფი, მაგრამ, როცა დრო გადის, ნაციონალებისადმი ბრაზიც ემოციიდან უკვე მეხსიერებაში გადადის, მაშინ კიდევ უფრო ქმედითი ხდებიან, ვითომ ახალგაზრდული შემართების ძალები, რომლებიც აკრიტიკებენ არსებულ ხელისუფლებას.

ახალი სტრატეგია შემდეგია, უნდა იყოს სხვადასხვა პარტიის ბევრი ახალგაზრდული ძალა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ნაციონალების და ევროპული საქართველოს მიერ ორგანიზებული ძალები და მათი მოქმედება ეფუძნება ზნეობრივ ინვერსიას. ზნეობრივი ინვერსია ესაა ვითარება, როდესაც შენ არანაირი ღირებულება არ გაქვს, უბრალოდ, ცდილობ სხვა გამოაჩინო ცუდად და მის ფონზე შენ უკეთესი გამოჩნდე. ამ შემთხვევაში სხვა არის სახელმწიფო. ეს ჯგუფები ცდილობენ სახელმწიფო აჯანჯღარონ, როგორც უკვე თქვეს მათმა ინსპირატორებმა. იქნებ, მაგალითად, პოლიციას ძალა გამოაყენებინონ, იქნებ რამე ათქმევინონ რომელიმე პოლიტიკოსს, იქნებ რამე დაუგეგმავი გააკეთებინონ რომელიმე პარლამენტარს და შეცდომა დააშვებინონ. ესაა მთელი მათი რუტინა და ფილოსოფია.

არადა, მანიფესტაციის იდეა ზოგადად სხვანაირია. ესაა სახალხო პროტესტი, როდესაც ჩვეულებრივი მოქალაქე, ბრაზისგან ქუჩაში გადის, იმის მაგივრად, რომ სახლში ტელევიზორს უყუროს. ასეთი რამ არ ხდება ჩვენთან, ესაა ჯგუფი და ჯგუფები, რომლებიც არა ხალხის რეპრეზენტატორები, არამედ პარტიების წარმომადგენლები არიან. ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობის და ევროპული საქართველოსი.

რა მტკიცებულებები გვაქვს ამისთვის? თანაც იმ პირობებში, როცა თვითონ უარყოფენ ამას ეს ახალგაზრდული ჯგუფები. პირველი თვითონ სახეები, უმეტესობა მათგანი მე ზუსტად თავისუფალი ზონიდან მახსოვდა, მეორე მტკიცებულება ესაა ნაციონალების და ევროპული საქართველოს პოლიტიკოსებთან ქმედითი კავშირები და უმეტესობა კიდევ მათი ქმედითი სახეები ახალგაზრდული მოძრაობის არიან მათი შვილები, ნაციონალური მოძრაობის და ევროპული საქართველოს წევრების და ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი, ესაა პარტაქტივი. გახსოვთ, მაგალითად, 20 ივნისის აქციები, მეორე-მესამე დღეს იქ მართლაც გავიდნენ დამოუკიდებელი ახალგაზრდები, რომლებიც გაბრაზდნენ რიგი მოვლენებით და როდესაც ეს აქციები, პროტესტი გახდა პერმანენტული, გვახსოვს შედარებით ხალხმრავალი აქციების დღეებში, მათ ნაცების პარტაქტივი ეხმარებოდათ, ზოგი მარნეულიდან ჩამოყვანილი, ზოგი გორიდან, ზოგი — იმერეთიდან.

კი ბატონო, შეიძლება უარყო ნაცებთან კავშირი, ეს უკვე ძალიან კარგი აქტია, რომ გესირცხვილება, მაგრამ როდესაც ნაციონალები მოგახმარენ პარტაქტივს, არ მგონია მათ ეს გააკეთონ სხვისთვის. ნეოკმარას მოძრაობას ემატება ერთი საინტერესო გარემოება, ახალგაზრდების ლიდერები და მთავარი სახეები, ძველი, ცნობილი პოლიტიკოსების შვილები არიან. ნაციონალების და ევროპული საქართველოს წარმომადგენლების უმეტესობა. ისიც უნდა გავიმეოროთ, რაც არაერთხელ გვითქვამს, რომ ნაცების არსენალში მხოლოდ ორი იარაღი მოიძებნება ახლა, ისიც გაფუჭებული, დასაზეთი, ყავლგასული და ეს იარაღებია — სიცრუე და ძალადობა. თანამედროვეობაში ეს იარაღები მითუმეტეს ვადაგასულია, ახლა საჭიროა ინოვაციები, ახალი იდეები და არა კმარას დროის ტრენდები“, — ამბობს გური სულთანიშვილი.

◎ წკეპლიკა

რა შემცვლელი უპოვა საქართველოს ომბუდსმენმა ქურდულ სიტყვა „ობშჩაკს“

როგორც ჩანს, საქართველოს ომბუდსმენმა, ქალბატონმა ლომჯარიამ დიდხანს იჭმუხნა შუბლი, დაძაბა ტვინის ხვეულები, იმტვრია თავი ძალიან სერიოზულ და, როგორც აღმოჩნდა, გადაუწყვეტელ საკითხზე: როგორ ეთარგმნა ქართულ ენაზე კრიმინალური ჟარგონი „ობშჩაკი“. ამ საკითხზე ალბათ თათბირიც ჩაატარა, თანამშრომლები გამოიძახა, ცნობები მოკრიბა ენათმეცნიერებში. სულ ამაოდ. ზუსტი სიტყვა ვერ იპოვა.

შეგახსენებთ, რომ „ობშჩაკი“ („ქურდული სალარო“) — კრიმინალურ ჟარგონზე ნიშნავს დამნაშავეთა კრებულის ურთიერთდახმარების ფონდს როგორც ციხეში, ისე მის გარეთ. „ობშჩაკს“ ავტორიტეტრული კრიმინალური ლიდერი აკონტროლებს, რომელიც დამნაშავეთა ნდობით სარგებლობს („კანონიერი ქურდი“ ან „მეთვალყურე“).

რატომ აეკვიატა ეს სიტყვა ქალბატონ ომბუდსმენს?

საქმე ის არის, რომ ნინო ლომჯარია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსასვლელად ემზადებოდა და ამ მოხსენებაში პატიმრობის ადგილებში საგანგაშო მდგომარეობის აღწერისას, სიტყვა „ობშჩაკი“, ბუნებრივია, არაერთგზის ამოტივტივდა. ამ პოსტზე ქალბატონი ლომჯარიას წინამორბედნი მდგომარეობიდან იოლად გამოდიოდნენ: „ობშჩაკს“ ახსენებდნენ „ობშჩაკად“, ოღონდ მას ერთ ნაკლებმნიშვნელოვან სიტყვა-შეთანხმებას უმატებდნენ — „ეგრეთ წოდებულს“. ასე მომთაბარეობდა ის წლიდან წლამდე. ერთი ომბუდსმენის მოხსენებიდან მეორე ომბუდსმენის მოხსენებაში. და ყველაფერი წესრიგში იყო.

მაგრამ თავის ანგარიშში ასეთი მაღალი დონის შეკრებაზე კრიმინალური, თანაც აშკარად რუსული წარმომავლობის სიტყვა „ობშჩაკის“ ხსენება ქალბატონმა ლომჯარიამ უადგილოდ, სულაც უზრდელობად მიიჩნია და დაიწყო ტვინის ჭყლეტა.

შედეგი, პირდაპირ ვიტყვი, უხეირო გამოდგა. ომბუდსმენმა სიტყვა „ობშჩაკი“ სიტყვა „საერთო“-თი შეცვალა. და მივიღეთ, რომ ნინო ლომჯარიას გამოსვლა პარლამენტის კომიტეტში გაჯერებული იყო ისეთი ნაკლებად გასაგები გამოთქმით, როგორიც არის **„ეგრეთ წოდებული „საერთო“**. რა „საერთო“, რა შუაშია „საერთო“. ეს არის სიტყვა ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ხოლო კრიმინალურ სამყაროში არის „ობშჩაკი“. არაფერია აქ საფანტაზიო.

მაგრამ ქალბატონი ომბუდსმენი, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობს: **„ე. წ. „მეთვალყურენი“ თავისუფლად გადაადგილდებიან ციხეში, შედიან საკნებში, აგროვებენ „ე. წ. საერთოს“, ესაუბრებიან პატიმრებს, რათა საჩივრები არ წერონ და მათ პრობლემებს თვითონ მოაგვარებენ“** — აღწერდა პენიტენციურ დაწესებულებაში ვითარებას ომბუდსმენი.

და ასე შემდეგ... მოხსენების ლამის ყოველ აბზაცში.

შეიძლება საქართველოს ციხეებში ვითარება მართლაც სერიოზულია. ჰოდა, ამაზე ლაპარაკიც სერიოზული უნდა იყოს, მსმენელების ყურადღება არ უნდა გაიფანტოს გამოცანების კომიკური ამოხსნით. რა „საერთოზე“ ლაპარაკობს ომბუდსმენი, ადგილობრივ პენიტენციურ დაწესებულებაში ვითარების აღწერისას, როცა მხედველობაში აქვს ქურდული „ობშჩაკი“?



ვადიმ ანასტასიადი

კუდ-ის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ბრალი აღიარეს

ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე ურეკის პოლიციის განყოფილების ყოფილი უფროსის ჯემალ შამათავას უკანონო დაკავებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებულმა კუდ-ის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა — ილია გამგებელმა და დავით ქოქიაშვილმა მოსამართლის წინაშე ბრალი აღიარეს.

„გამოძიებაში მიცემული ჩვენებით, ორივე ბრალდებულმა, ილია გამგებელმა და დავით ქოქიაშვილმა დაადასტურეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, უშუალოდ დანაშაულის ორგანიზატორად დაასახელეს ლევან ქარდავა და გიორგი დგებუაძე. შესაბამისად, ითანამშრომლეს გამოძიებასთან“, — აღნიშნა პროკურორმა.

რაც შეეხება მესამე ბრალდებულ ლევან ქარდავას, ის წარდგენილ ბრალს არ აღიარებს და თავს დამნაშავედ არ ცნობს.

დაკავებულ პირებს ბრალი ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და განზრახ უკანონო დაკავებაში.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ბრალდებულებს 9-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე თბილისის პროკურატურამ კუდ-ის ორი ყოფილი თანამშრომელი 2019 წლის 12 ნოემბერს დააკავა.

აუცილებლად წასაკითხი და გასათვალისწინებელი!

როგორ ჩნდება ახალი ვირუსი

და რა უნდა ვიცოდეთ გლობალური ეპიდემიების შესახებ?!

ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კორონავირუსით გამოწვეული პნევმონიის შემთხვევები სულ უფრო იზრდება. საინტერესოა, რატომ წარმოიქმნება მუდმივად ახალ-ახალი ვირუსები? რატომ არ არსებობს უნივერსალური წამალი? მოსალოდნელია თუ არა ახალი გლობალური ეპიდემია?

როგორ წარმოიქმნება გლობალური ეპიდემია?

გლობალურ ეპიდემიას ან პანდემიას უწოდებენ დაავადებას, რომელიც არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ან ქალაქის ფარგლებში ვრცელდება, არამედ მთელ მსოფლიოს მოიცავს და ამით ადამიანების უმრავლესობა ავადდება. ყველაზე ხშირად საუბარია ინფექციურ დაავადებებზე, თუმცა ხანდახან გაცხიმოვნების პანდემიასა და მეორე ტიპის დიაბეტზეც ამახვილებენ ყურადღებას. თითოეული მათგანი ცხოვრების წესის ცვლილებას უკავშირდება.

კლასიკური გაგებით პანდემიაში იგულისხმება დაავადება, რომელიც გადამდებია. ის ამა თუ იმ ინფექციური აგენტის მეშვეობით ადამიანიდან ადამიანს ან ცხოველიდან ადამიანს გადაეცემა. როგორც წესი, ინფექციის გადამტანი ვირუსი ან ბაქტერიაა, თუმცა თეორიულად ეს შეიძლება იყოს უმარტივესი ორგანიზმებიც, როგორც მალარიის შემთხვევაში ხდება. ეს დაავადება, მართალია, პანდემიის ეტაპს „არ აღწევს“, მაგრამ მას ყოველწლიურად აზიასა და აფრიკაში ასეულათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

მეოცე საუკუნის შუახანებიდან პანდემიის პოტენციალის მქონე საშიში დაავადებების რისკი სულ უფრო მაღალია. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფრენების სიხშირის მკვეთრი ზრდა. ამ ფაქტორის კარგი ილუსტრაციაა მწვავე რესპირატორული სინდრომი, რომელიც 2003 წელს მთელ მსოფლიოში, ფაქტობრივად, რამდენიმე დღეში გავრცელდა. პირველი პაციენტი იყო 64 წლის ჩინელი ექიმი, რომელიც ჰონგ-კონგში ქორწილში ჩავიდა. მან თავისი დაავადების შესახებ არაფერი იცოდა და სასტუმროში ყოფნისას დაანფიცირა 16 ადამიანი, რომელთაც, თავის მხრივ, ვირუსი კანადაში, ვიეტნამსა და სინგაპურში ჩაიტანეს.

პანდემიის ზრდის მეორე შესაძლო მიზეზია ცხოველებსა და ადამიანებს შორის კონტაქტის გახშირება, რასაც დედამიწის მოსახლეობის მზარდი რაოდენობის გამო, საკვების მოპოვების აუცილებლობა განაპირობებს. პანდემიების აბსოლუტური უმრავლესობის გადამტანები თავდაპირველად ცხოველების ორგანიზმებში ბუდობენ და ადამიანებზე მხოლოდ ამის შემდეგ გადადიან. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილება, ტყეების გაჩეხვა, ჭაობების დაშრობა და სხვა ანთროპოგენული მოქმედებები ანადგურებენ იმ ადგილებს, სადაც ვირუსების მატარებელი ცხოველები ბინადრობენ. ისინი იძულებული არიან, გადავიდნენ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ადამიანებით არის დასახლებული. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე იზრდება, ამ ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის ალბათობაც ბევრად გაზრდილია.

როდის იყო ყველაზე ძლიერი გლობალური ეპიდემია?

არაერთხელ. მართალია, ნახევარი მსოფლიო ამისგან ნამდვილად არ დახოცილა, მაგრამ ესპანურ გრიპს, 1918-1920-წლებში, სულ ცოტა, 50 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა — იმ დროისთვის ეს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 3% იყო. ესპანური გრიპით თითქმის 500 მილიონი ადამიანი იყო დაავადებული, რაც მთელი პლანეტის მოსახლეობის მესამედს შეადგენდა. შავმა ჭირმა კი, 1347-1351 წლებში, ევროპული პოპულაციის 30-დან 50%-მდე გაანადგურა. მას მთელ მსოფლიოში დაახლოებით 100 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა.

თუ რატომ ვერ გაანადგურეს ამ ეპიდემიებმა მთელი ან ნახევარი მსოფლიოს მოსახლეობა მაინც, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ მათი გადადებისა და ლეტალურობის მაჩვენებელი მაღალია, ისინი ყველა ადამიანს ვერ კლავენ. მაგალითად, შავი ჭირისგან უფრო ხშირად უკვე დასუსტებული ადამიანები კვდებოდნენ, ესპანური გრიპის მსხვერპლი კი პირიქით, უფრო ახალგაზრდები იყვნენ. მეორე მხრივ, თუ სიკვდილიანობა მაღალია, ვირუსის გავრცელების რისკიც იკლებს, რადგან ის მიცვალებულისგან სხვა ადამიანს ვეღარ გადაედება. დაბოლოს, ადრეულ საუკუნეებში ადამიანებმა კარანტინის შესახებ შეიძლება ბევრი არაფერი იცოდნენ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ, ავადმყოფები იზოლაციაში ჰყოლოდათ, რაც პანდემიის გავრცელებას აფერხებდა.

რატომ იწყება ყველა პანდემია აფრიკაში ან აზიაში?

ყოველი ახალი ვირუსის აღმოჩენის შემდეგ ჩნდება ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ სასიკვდილო დაავადებების გამომწვევი ვირუსები საიდუმლო ლაბორატორიებში ხელოვნურად იქმნება. თუმცა თანამედროვე მოლეკულურ-ბიოლოგიური და ვირუსოლოგიური კვლევებით დგინდება, რომ ვირუსები მუტაციას ან თავიანთი გენების გავრცელებას ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშეც „კარგად ართმევენ თავს“, როგორც ეს ხდება გრიპის ვირუსის სხვადასხვა შტამის შემთხვევაში. გენომების ანალიზებით ზუსტად დგინდება, რომელი ცხოველისგან გადავიდა ის ადამიანზე და კონკრეტულად როგორ მოხდა ცვლილება, რამაც ის ადამიანისთვის საშიში გახადა.

მეტიც, აფრიკა და სხვა აზიური ქვეყნები არ არის ძირითადი ადგილები, სადაც საშიში ვირუსები ჩნდება. თუმცა სხვა თემაა ის, რომ ჯანდაცვის მოუწესრიგებელი სისტემის (ასევე მუდმივი საომარი მოქმედებების), სიღარიბის, ცხოველებთან ახლო კონტაქტისა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო სწორედ აზია და აფრიკა ხდება ვირუსის ფართო გავრცელების არეალი. ეპიდემიები და ხანდახან პანდემიებიც კი სწორედ აქ იწყება.

შესაძლებელია თუ არა იმის პროგნოზირება, სად წარმოიქნება ახალი პათოგენი?

ზოგიერთ შემთხვევაში — კი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია გრიპის ვირუსი. სეზონურ ეპიდემიებს ყოველ წელს ვირუსის სხვადასხვა შტამი იწვევს. მათთვის შესაბამისი ვაქცინების შემუშავების პროცესში კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გრიპის ასზე მეტი ცენტრი მონაწილეობს. თითოეული მათგანი ეპიდემიის მიმდინარეობას აკვირდება. ლაბორატორიები მიღებულ მონაცემებს უგზავნიან ხუთ კვლევით ცენტრს, რომელთა თანამშრომლები მიღებულ ინფორმაციას შეისწავლიან, ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად რთულ მოდელებს განიხილავენ, აღწერენ, როგორ მიმდინარეობს შტამის ცვლილება და ადგენენ, მომდევნო წელს, დიდი ალბათობით, ეპიდემიას რომელი შტამი გამოიწვევს. ხანდახან მეცნიერები ცდებიან და არც თუ იშვიათად. საშუალოდ, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის ეფექტიანობა 50-60%-ია.

პროგნოზი იმის შესახებ, თუ სად შეიძლება სრულიად ახალი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი პათოგენი გაჩნდეს, უფრო რთულია. ზოგიერთი მონაცემებით, მხოლოდ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებში დაახლოებით 1,67 მილიონი ვირუსი ცირკულირებს, მათგან 600-დან 800 ათასამდე სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანს გადაეცეს.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე მედიცინისა და მეცნიერების მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ უკვე გამოვლენილ პათოგენს გაუმკლავდნენ. 2009 წელს შეიქმნა Global Virome Project-ი, რომლის მიზანიც ამ პოტენციური ვირუსების უმრავლესობის შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა იყო. ბევრი მკვლევარი ამ იდეას სკეპტიკურად უყურებს, რადგან 800 ათასამდე ვირუსის გამოკვლევას ბევრი რიგი საველე და ლაბორატორიული სამუშაო სჭირდება, რაც უზარმაზარ თანხებს უკავშირდება.

შესაძლებელია თუ არა ადრეულ ეტაპზე განისაზღვროს, რამდენად სახიფათოა ახალი დაავადება?

შესაძლებელია, თუ ქვეყანაში ეპიდემიური სიტუაციისა და პოტენციურად საშიში დაავადებების მონიტორინგის სისტემები მოწესრიგებულია. გარდა ამისა, დაავადების საფრთხის ადეკვატური შეფასებისთვის, ხშირად აუცილებელია სხვა ქვეყნების სპეციალისტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა. სამწუხაროდ, ეს ხშირად არ ხდება. სახელმწიფო, სადაც ახალი პათოგენი ვრცელდება, რეალური ვითარების ჩვენებას ხშირად ერიდება, რათა მისი ეკონომიკისთვის საზიანო რეაქციებს (ფრენებისა და სავაჭრო ურთიერთობების შეზღუდვა) ხელი არ შეუწყოს.

რატომ არის ასე რთული ახალი წამლის შექმნა ვირუსის მუტაციის გამო? ბაქტერიების შემთხვევაში ხომ ანტიბიოტიკები ეფექტიანია?

ბაქტერიები ბევრად ნელა განიცდიან მუტაციას, ვიდრე — ვირუსები. გარდა ამისა, ვირუსები არსებითად სწრაფად მრავლდებიან. მაგალითად, ამ მხრივ გამორჩეულია აივ ინფექცია. მას შეუძლია დღეში 10^{10} ვირუსული ნაწილაკი წარმოქმნას. ასეთი მისწრაფება პრეპარატის შექმნას ეკონომიკურად არამომგებიანს ხდის, რადგან საჭიროა მისი მუდმივი განახლება.

გარდა ამისა, თავისი არსებობის დიდ ნაწილს ვირუსი მასპინძელ უჯრედში ატარებს, იყენებს მის ფერმენტულ სისტემას, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი განადგურებით თავად უჯრედის განადგურებაც აუცილებელი ხდება. ამიტომ ბევრ ანტივირუსულ პრეპარატს გამოხატული გვერდითი ეფექტები აქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გაცილებით ეფექტიანია ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინები, რომლებიც ხელს უშლიან დაინფიცირებას და არ უწევთ უკვე არსებულ ინფექციასთან გამკლავება.

თუკი წამალი არ არსებობს, იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელია ესპანური გრიპის მსგავსი ეპიდემია?

გრიპისთვის ეფექტიანი ვაქცინის შესაქმნელად მოწესრიგებული მექანიზმი უკვე არსებობს. თუმცა ზოგიერთი შტამისთვის ვაქცინის შექმნა გაცილებით რთულია, სხვისთვის კი - შედარებით იოლი. ეპიდემიის შეჩერება შესაძლებელია ვაქცინისა და სპეციფიკური წამლების გარეშეც, ექსტრემალური რეაგირების სისტემის მოწესრიგების, კარანტინისა და დაავადებულთა იზოლაციის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არის გამორიცხული, მსგავსი ვირუსის ხელახლა წარმოქმნა, მეოცე საუკუნეში ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა არსებითად გაუმჯობესდა, ამიტომ სავარაუდოდ ასეთ პათოგენთან გამკლავება შედარებით ადვილი იქნება.

როგორ დავიცვათ თავი? ნიღაბი ვატაროთ? ინფიცირებული რეგიონებიდან ჩამოსულებს არ ვეკონტაქტოთ?

ინფექციისგან სრულად დასაცავი უნივერსალური სტრატეგია არ არსებობს. ყოველ ინფექციას თავისი ნიუანსი აქვს. რაც შეეხება კორონავირუსს, მასაც თავისი ინსტრუქცია აქვს.

ზოგადად, ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები ინფექციის შემთხვევაში სტანდარტული ჰიგიენური რეკომენდაციები საკმაოდ ეფექტიანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი ხშირად უნდა დაიბანოთ და დაუბანელი ხელი სახესთან არ მიიტანოთ (ბევრი ვირუსი სხვადასხვა ზედაპირზე დიდხანს ნარჩუნდება და ლორწოვანი გარსის მეშვეობით ორგანიზმში ადვილად აღწევს). სასურველია, ხალხმრავალ ადგილებს მოერიდოთ, არ ეკონტაქტოთ ადამიანებს, რომლებსაც დაავადების აშკარად ნიშნები აქვთ.

თუ ძალიან გინდათ, შეგიძლიათ ქირურგიული ნიღაბი ატაროთ. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ის რესპირატორზე არანაკლებ ეფექტიანია. თუმცა ეს რეგულარულად უნდა აკეთოთ. თუ თქვენ ნიღაბს პერიოდულად იხსნით, რათა „ისუნთქოთ“ და ამასთან, არც ხელს იბანთ ხშირად, არანაირი დამცავი ეფექტი მას არ ექნება.

არსებობს თუ არა მზა სტრატეგია, თუ კაცობრიობას რეალური ეპიდემია დაემუქრება?

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს სტრატეგია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მასშტაბური ეპიდემიის დროს (მაგალითად, აშშ-ში პანდემიურ გრიპთან ბრძოლის სტრატეგია). თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე სამყაროში ქვეყნებს შორის კომუნიკაცია ძალიან აქტიურია, დღეს უკვე ერთ რეგიონში შემუშავებული სტრატეგია ეფექტიანი ვერ იქნება. სწორედ ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ მოსალოდნელი ეპიდემიის შესახებ ამა თუ იმ ქვეყანამ ინფორმაცია საერთაშორისო საზოგადოებას ადრეულ ეტაპზე მიაწოდოს, რაც, სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირად ხდება.

როგორც მათემატიკური მოდელი აჩვენებს, იმისთვის, რომ საშიში ინფექცია არ გავრცელდეს, საჭიროა საკმაოდ მკაცრი ზომების მიღება. მაგალითად, კარანტინის გამოცხადება ხშირად, ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს არ მოსწონთ და მათი შეფასებით, ეს ძალიან უხეში მიდგომაა. მიჩნეულია, რომ მეტ-ნაკლებად სწორედ კარანტინის დარღვევამ განაპირობა 2014-2015 წლებში ებოლას ვირუსის მთელ მსოფლიოში გავრცელება.

IMEDINEWS

ეკზიუპერი ახლობელთან ერთად. 1944 წლის ივნისი. ალგერო.

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

სიყვარული

საღამოთი, ბერნიე რომ ეწვია, ქალმა არცრა ამბის მოყოლა არ დაუწყო. ასეთი ამბების დროს თავს არ იმუღავნებენ, მაგრამ ის იმასთან ერთად ბავშვობის მოგონებებს იხსენებდა და თან ეკითხებოდა – იქ, შორეულ მხარეში, ცხოვრების ამბავს. იმიტომ რომ ამ კაცს იმ პატარა გოგონას ანდობდა, ნუგეშინისცემა რომ ეჭირვებოდა და იმიტომ, რომ გოგოცუნებს ზღაპრებით ანუგეშებენ.

* * *

ქალს უნდოდა, რომ შეეძახა იმისთვის: „შემაკავე!“ სიყვარულის კავშირი ხომ შენს აწმყოსთან, შენს წარსულთან, შენს მომავალთან გაკავშირებს, სიყვარულის კავშირი ერთად გიყრით თავს...

* * *

სიყვარულის ლიბო ისევ სიყვარულია.

* * *

ზოგჯერ იმავე ღამეს მიხდებოდა ორი გადაჭდობილი ყელის დაშორიშორება, რადგან გოგოს მეტის თავი არა ჰქონდა, ოღონდ არა დაყოლიებისგან, – დაყოლიება შეუძლებელია, – არამედ მეტისმეტი ალერსისგან განშორების შიშით ჩაძინებულს, და თავისივე თავისთვის თქმა: „უყურე ერთი, მოთვინიერდა, ატირდა კიდეც...“

* * *

აგერ, დედა თავის ჩვილს უნანავებს, ამ პაწაწინა არსების ტყვეა, ყველა გასაქცევი გზა მოჭრილი აქვს.

* * *

შორეული ხმა უპასუხებდა: „დიახ, დიახ, ჟაკ, ბედნიერი ქალი ვარ... ოღონდ, ცოტა არ იყოს, ყაჩაღების შიში მაქვს“, და ოდნავ გაიღიმა. ამ სიტყვებმა გული ატკინეს ბერნისს და მიხვდა, რომ ესპანეთში მოგზაურობა მისთვის ისეთივე არარეალური იყო, როგორც ჯადოსნური რამ ზღაპარი... ვერ ერწმუნა ურწმუნო ჯარს კი მტრის ძლევა არ ძალუძს.

* * *

ნუთუ ჩემს გულში ადგილი არ მყოფნის, რომ ისინი ყველანი შევიკედლო?

* * *

იმისი გულის სუყოველი ღვთაება სათუთი და საზუზარი იყო. უბრალო რამ ეჭვი შეიძლება რომ საშიშროება გახდეს სამეფოსთვის, სუყოველი ამბისთვის, შინ დაბრუნების სიხარულისთვის. ერთ წამში ძალუძს, რომ სულ ქუფთა-ქუფთა აქციოს სიმშვიდის, მყუდროებისა და თვითგადადგომის მდგომარეობა.

* * *

გულის სიღრმეები ცნობილია ჩემთვის და ვიცი: სიღარიბისგან კი ვიხსნი ქურდს, მაგრამ მოპარვის სურვილისგან ვერ ვიხსნი, და ვკიცხავ იმ მოუსვენრობას, ქურდს დანაშაულისკენ რომ უბიძგებს. ის ცდება, როცა ფიქრობს, სხვისი ოქრო მინდაო. ოქრო ვარსკვლავივით ბრწყინავს. სიყვარული, მაშინაც კი, თუ არ იცის, რომ სიყვარულია, მხოლოდ ნათელს საჭიროებს და არა ამ ნათლის მითვისების კაცობრივ ძალას. ბრწყინვა აჯადოებს ქურდს, და ის ქურდობას ქურდობაზე სჩადის, თითქოს გიუიაო, ისე; რომელი გიუიც სავრებელს სავრებელზე ხაპავს ჭის შავ წყალს, რათა მთვარე მოიხელთოს. ქურდი იპარავს და ის წამიერ ალში ყრის ნაპარავის ფერფლს. და კვლავ კუთხეს ეფარება, გაცრეცილი, როგორც რომ პაემნის წინ, შიშისგან გაშეშებული, ემანდ არ შევაშინოო და იმედოვნებს, რომ სწორედ აქ იპოვის ერთხელაც იმას, რაც წყურვილს მოუკლავს.

* * *

როგორც კი სიყვარულს უძღვნიან, ისევე, როგორც თქვენს ყალბ მეგობრობაში, ეგრევე მსახურად და მონად იხდი თავისუფალ და თქვენს ტრფიალ ადამიანს, თავად კი წყენის უფლებას ითვისებ და რათა აიძულო ის, რომ უკეთ გემსახუროს, შენი ტანჯვის ყოველწუთიერი სანახაობით სჯი. დიახ, რასაკვირველია, ნამდვილად იტანჯები, მაგრამ სწორედ თქვენი ტანჯვაა, რაც არ მომწონს. არადა, მითხარით, რა არის მაგ ტანჯვაში კარგი და მოსაწონი?

* * *

გოგონათა თუ ცირათა შორის ყოვლის უფრო კეთილშობილი, მშვენიერი და სრულყოფილის გვერდით, უფლისგან ვაითუ კარგა შორს აღმოჩნდე. იმ გოგონას არ ეჭირვება ნუგეშინისცემა, მხარში დგომა და დამშვიდება, და უკეთუ ის გთხოვს, ჩემზე იზრუნე და მთელი სიყვარული მარტო მე დამითმეო, ის ორის კუთვნილ ეგოიზმისკენ მოგიწოდებს, რომელ ეგოიზმსაც არასწორად უხმობენ სიყვარულის ნათელს, – არა ნათელი კი არა, ის უნაყოფო ხანძარია ბეღელთა მძარცველი.

* * *

მე იმ ქალს ვუფრთხილდები, თავისი თავი თავისივე სახლის შიდა ეზოში რომ იპოვა... და არა იმას, გაზაფხულს რომ შეჰხარის, დიახ, იმას ვუფრთხილდები, ყლორტის მორჩილს, რომელი ყლორტიც არის სწორედ გაზაფხული. არა იმას, სიყვარული რომ უყვარს, არამედ იმას, ვისაც შევუყვარდი.

* * *

სიყვარულს თავის თავის შეძენა სწადს. მე იმას გადავარჩენ, ვისაც არსებული შეუყვარდა, იმიტომ, რომ ასეთი სიყვარულით მოყირჭება შესაძლებელია.

* * *

მოუსმინე იმათ შემწყნარებლურად და გიყვარდეს ის კვლავინდებურად: შენ უკვე მიიტანე შენი არჩევანი და უკეთუ შესაძლებელია შენგან მოპოვებულის მოპარვა, ვისა აქვს იმის თავი, რომ შენგან გაცემული წაგართვას?

* * *

უტყუარი სიყვარული მხოლოდ იქ შეიძლება რომ გაჩნდეს, სადაც არცრას სამაგიეროს არ ელიან. იმისთვის, რომ ადამიანებს ადამიანების სიყვარული ვასწავლოთ, საჭიროა ლოცვა ვასწავლოთ ადამიანს, ვინაიდან ლოცვა უპასუხოა.

* * *

მარტო, თავხელმარტო, ჩემს ოფლად დამადნობელ უდაბნოში – ვუმზერდი შიშველ, მძინარე ასულს. „მე იმ ნადავლზე არ ვნადირობდი, იქით არ მივდიოდი. ის ისე სწრაფად მიაბიჯებდა, ძლივს ვტაცე ხელი, ჩემად მინდოდა, რომ გამეხადა... ხელთა მყავს, მაგრამ გვერდით ვერ ვგრძნობ...“ და მივხვდი, რომ შევცდი. ვფიქრობდი, ამ სირბილ-სირბილში გავიმარჯვებდი და ისე ვიცხოვრებდი. იმ გიჟსა ვგავდი, წყლით სავსე სურას კარადაში რომ ინახავს, ვინაიდან წყაროს რაკრაკი უყვარს...

* * *

სინანული სიყვარულის გამო, – ისევ კვლავინდებურად სიყვარულს ნიშნავს.

* * *

თავისუფალი ის არის, ვისაც ქვენა გრძნობების გაძლება ძალუძს, მაგრამ როგორ ვუწოდოთ იმას თავისუფალი, ვინც სუყოველ ცდუნებას ეტყვევინება? არადა, თვითონ უწოდებს ამას თავისუფლებას – მან თავისუფლად აირჩია მუდმივი დამოკიდებულება.

* * *

უკეთუ სიყვარული ზიარია, ემადლიერე უფალს, რომ შენი სიყვარული გათვალვასაც გადაარჩინოს, მოყირჭებული გული ძალიან მაშინებს.

* * *

განშორება ნამდვილ სიყვარულს გასწავლის.

* * *

იმიტომ გიყვარს, რომ უბრალოდ გიყვარს. მიზეზი არ ჩანს, რომლის საფუძველზეც იფეთქებს ხოლმე სიყვარული. საშუალება ერთია – შემოქმედება, უკეთუ გულები შეხმატკბილებულად აძგერდებიან, მაშასადამე, ადამიანები ერთად არიან, შენ დაეხმარე, რომ გაერთიანებულიყვნენ და ნელ-ნელაობაში მუსიკა, იმათ სულს დაუფლებული, იმათივე შემოქმედების მიზეზი გახდება.

* * *

ნუ აურევ ერთმანეთში სიყვარულსა და ფლობის წყურვილს, რასაც ესოდენ ბევრი ტანჯვა მოაქვს. საერთოდ მიღებული აზრის წინააღმდეგ, სიყვარული არა გვტანჯავს. გვტანჯავს საკუთრების ინსტინქტი, ის კი ეწინააღმდეგება სიყვარულს.

* * *

უკეთუ გიყვარს, მაგრამ იმედი არა გაქვს, რომ იმასაც უყვარხარ, მაშინ ხმა არ ამოიღო შენ სიყვარულზე, სიჩუმეში ის უფრო ნაყოფიერი გახდება.

* * *

სიყვარული გულის შრომაა.

* * *

სიყვარულის ყვავილი ყველა დანარჩენ ყვავილზე დაუარებაა.

* * *

შენ გიყვარს და ამ სიყვარულისდა წყალობით ყოველივე აზრს იძენს, რაც რამ შენ გარშემოა. შენ არ გესმის იმ ასულის წყნარი სუნთქვა, მაგრამ იმის მეოხებით ქვეყნიერება გასასწაულდა... და აი, კიდევ რა არის ამოუცნობი ადამიანში... ის სასოწარკვეთილია, თუკი აღარ უყვართ, ოღონდ, როს თავად გადაიყვარებს, ვერ ამჩნევს, რაოდენი დაკარგა. ფიქრობს: „მეჩვენებოდა, რომ ის უფრო ლამაზი იყო... უფრო საყვარელი...“ და მიდის თავისი თავით კმაყოფილი, შემთხვევითობის ქარს მინდობილი. ქვეყნიერება იმისთვის სასწაული აღარ არის. აღარ ახარებს რიბირაბო, რომელიც აღარ უბრუნებს საყვარელი არსების ხვევნას. ღამე აღარ არის სიყვარულის წმიდათაწმიდა, როგორიც ოდესღაც იყო ტკბილი ძილის ფშვინვის წყალობით. ყოველივე გაფერმკრთალდა, გახევდა, მაგრამ ადამიანი ვერ ხვდება კარს მომდგარ უბედურებას, ვერ დასტირის დაკარგულ გრძნობათა სიჭარბეს, თავისუფლებას შეჰხარის – არყოფნის თავისუფლებას.

* * *

შესაძლებელია იმათი სიყვარული, ვისაც მბრძანებლობ, ოღონდ არ შეიძლება, რომ იმათ ეს უთხრა.

* * *

არ ღირს მეგობართა და საყვარელ ადამიანთა შემოწმება. ისინი, სულერთია, მაინც ვერ გაუძლებენ განსაცდელს.

* * *

სიყვარული უწინარესად ვარჯიშია ლოცვაში, ლოცვა კი ვარჯიშია დუმილში.

* * *

უკეთუ ადამიანმა შენი გულისთვის ვიღაცას უღალატა, არ ღირს იმასთან ცხოვრების დაკავშირება, ადრე თუ გვიან, შენც გიღალატებს ვიღაცის გულისთვის.

* * *

არცროდის არ უგულებელყოთ ის ადამიანი, ვინც ყველაზე მეტად ზრუნავს შენზე. იმიტომ, რომ ერთხელაც გაიღვიძებ და მიხვდები, რომ მთვარე დაკარგე ვარსკვლავების თვლაში.

* * *

ნამდვილი სიყვარული იქ იწყება, სადაც არცრას სამაგიეროს არ მოელი.

* * *

რასაკვირველია, ადამიანის შეხვედრა ბედ-იღბლის საჩუქარია. მაგრამ ადამიანები არ ხვდებიან – ისინი ერთმანეთს პოულობენ. პოულობენ ცოტ-ცოტაობით, როგორც რომ პატარაობაში დაკარგული ბავშვი თითო-თითოს პოულობს დედამიწის ზურგზე მიმოფანტულ ნათესავთ... უკეთუ ადამიანები ოდნავ მეტ ძალ-ღონეს ხარჯავდნენ იმისთვის, რომ ეძებდნენ და აღმოაჩენდნენ იმას, რაც ადამიანთ გვაერთიანებს და არა იმას ამრავლებდნენ და აბლომავებდნენ, რაც ერთმანეთისგან გვთიშავს, – ალბათ, მშვიდობიან ცხოვრებას მოვახერხებდით.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

კაპიტანი ეკზიუპერი ფრენისას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-18

ᲘᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ:
ᲛᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ!

ᲘᲪᲝᲓᲐ თუ არა სსრკ სუკ-ის თავმჯდომარემ ივან სეროვმა არისტოვის წერილის და სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორის სიროტენკოს გამოძიების შესახებ? 1956 წლის 19 მაისს, ანუ არისტოვის მიერ ხრუშჩოვისთვის წერილის გაგზავნამდე ცხრა დღით ადრე, სეროვმა არისტოვს სრულიად საიდუმლოდ გაუგზავნა ბარათი: „გიგზავნით კრასნოიარსკიდან მიღებულ სიროტენკოს წერილს და ფოტოგრაფიებს“.

ეს ბარათი ცოტა არ იყოს უჩვეულოა: ჯერ ერთი დაწერილია ფანქრით (მბეჭდავს ვერ ენდო?) ახლავს გაფრთხილება „პირადად“, თითქოს შეიძლებოდა, სუკ-ის თავმჯდომარის გზავნილი ცკ-ის მდივანს შუამავლის საშუალებით გადასცემოდა, როგორც ჩანს, არისტოვი ძალიან ელოდებოდა ამ ბარათს და განსაკუთრებით ფოტოგრაფიებს. ისიც საინტერესოა, რომ არისტოვის წერილშიც და სეროვის ბარათშიც ლაპარაკია ფოტოგრაფიებზე მრავლობით რიცხვში. აი, ხრუშჩოვისადმი წერილში კი გასწორებულია: ადრე დაბეჭდილის „თან ერთვის ორი ფოტოგრაფია“ ნაცვლად წერია „ფოტოგრაფია“. ერთი ფოტო არის აღნიშნული საარქივო საქმეშიც.

1956 წლის 4 მაისს პ. სიროტენკომ, სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ყოფილმა ინსტრუქტორმა, სტალინის, პოსკრებიშევისა და არისტოვის დავალების შემსრულებელმა, ამ უკანასკნელს (არისტოვს) საკმაოდ სრული წერილი გაუგზავნა. ის წერდა: **1947 წლის იანვარში, როცა თქვენ სკკპ სამხარეო კომიტეტის მდივანი იყავით, დამავალეთ, გავფრენილიყავი ჩრდილოეთში: დუდინკა-კურეიკაში და მომეძებნა ორი გვარის — ივანოვისა და პერეტოკინის მატარებლები.**

მივლინების დროს მოძიებული მასალების საფუძველზე დავადგინე, რომ არავითარი პერეტოკინი არ არსებობს, არამედ არის პერეპრიგინი, გვარი იმ ოჯახისა, ვის ბინაშიც ცხოვრობდა ამხ. სტალინი.

დუდინკაში ძალიან სწრაფად დავადგინე, რომ პეტრე ივანოვი, რომელიც ახლოს იცნობდა ამხ. სტალინს, იმისი ცოლის დარია ალექსანდრეს ასულის მტკიცებით, ძალიან იყო აღშფოთებული, რომ სტალინი თანაცხოვრობდა პერეპრიგინების ერთ-ერთ ქალიშვილთან“.

პეტრე ივანოვმა, სტალინის ახლო ნაცნობმა, 1947 წლამდე ვერ მიაღწია. ინსტრუქტორმა სიროტენკომ გააგრძელა თავისი გამოძიება, რასაც არა ერთი თვე დასჭირდა. 1947 წლის მარტის ბოლოს ის გაემგზავრა კურეიკაში ადგილობრივ ძველ მცხოვრებთან ალექსეი იაკობის ძე ტარასოვთან. „მას შევხვდი 1947 წლის მარტის ბოლოს, მაშინ 102 წლისა იყო. მან მიამბო, რომ ივანოვსა და ობოლი პერეპრიგინების შვილებში უფროსთან იონა პერეპრიგინთან ერთად მიმართეს ჟანდარმ ლელეგინს, გადმოსახლებული ჯუღაშვილის არასრულწლოვან ლიდია პერეპრიგინასთან თანაცხოვრების თაობაზე საქმის აღსაძვრელად. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჯუღაშვილმა პირობა დადო, რომ მასთან ქორწინებას გააფორმებს, როგორც კი ქალი სრულწლოვანი გახდება, საქმე შეწყდა.

„მოხუცმა მითხრა, რომ ლიდია პლატონის ასული პერეპრიგინა (დავიდოვა) ცხოვრობს დასახლება ანგუტიხაში, რომელიც მდებარეობს კურეიკასა და ტურუხანსკის შორის (კრასნოიარსკიდან 1558 კილომეტრზე და ტურუხანსკიდან 50 კილომეტრზე — ა.ა.) 1947 წლის აპრილში მასთან შეხვედრისას შევიტყვე შემდეგი:

1900 წელს დაბადებულმა ლიდია პლატონის ასულმა პერეპრიგინამ სტალინთან ცხოვრება დაიწყო 14 წლისამ, სტალინის იქ ყოფნისას გააჩინა ბიჭი, მაგრამ მას დიდხანს არ უცოცხლია. მისი გაქცევის დროს (სტალინმა კურეიკა დატოვა 1916 წლის დეკემბერში — ა.ა.), ფეხმძიმედ დარჩა და უკვე მარტომ გააჩინა ბიჭი, რომელსაც დაარქვა ალექსანდრე.

ამტკიცებს, რომ პირველ ხანებში მისგან იღებდა წერილებს და ერთი სურათიც კი მიიღო, რომელიც მისი მითითებით მუზეუმის დირექტორმა იურინმა კურეიკაში სახლის სახურავზე დამალული იპოვა.

ასე რომ, სტალინი, ალექსანდრეს მამა, პირველ ხანებში წერილებსაც სწერდა ქალს.

მაგრამ როდის და რატომ გათხოვდა ლიდია პერეპრიგინა?

ინსტრუქტორ სიროტენკოს წერილი ამის პასუხსაც იძლევა: **„ხოლო როცა დაირხა ხმა, რომ სტალინი ფრონტზე მოკლეს, ლიდია იაკობ სიმონის ძე დავიდოვმა დანიშნა და ცოლად მოიყვანა. 4 წლის შემდეგ, როცა გაზეთში სტალინის პორტრეტი უჩვენეს, თავისი შვილის მამა იცნო და რადგან უკვე სხვაზე იყო გათხოვილი, საჭიროდ არ ჩათვალა თავი შეეხსენებინა. ჩემი თხოვნით ლიდია პლატონის ასულმა ალექსანდრეს სურათი მომცა, რომელსაც ამ წერილთან ერთად გიგზავნით“.**

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲔᲕᲓᲝᲙᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲕᲐᲟᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲘ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყოფილი ინსტრუქტორი თითქმის ათი წელი ინახავდა ამ ფოტოს, რაც თავისთავად სახიფათო იყო.

კურეიკა, ანგუტიხა და ტურუხანსკის ახლომახლო სხვა სოფლები, ტრადიციულად გადასახლების ადგილები იყო

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ ᲪᲝᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. 1974 Წ.

სტალინამდეც და სტალინის შემდეგაც. იქ 4 თვის მივლინების შედეგად დაიწერა მოკლე ცნობა სტალინისთვის. მისი შინაარსი უცნობია, მაგრამ ხრუშჩოვისადმი ცკ-ის მდივნის არისტოვის წერილით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიდია პერეპრიგინას ურთიერთობის არავითარი წვრილმანები და ამის თაობაზე განსვენებული ივანოვის მოსაზრება ბელადისთვის არ შეუტყობინებიათ. დავალება იყო მოეძებნათ „ამ გვარების მატარებლები“ — მოძებნეს, ცხოვრობენ აქ და აქ და მორჩა. ინიციატივა იმ დროს დასჯადი იყო. წვრილმანები კი მახსოვრობაში შემოინახეს „ყოველი შემთხვევისთვის“.

შემთხვევა კი 1956 წლის გაზაფხულზე გამოჩნდა, როცა სკკპ XX ყრილობის შემდეგ სსრ კავშირში გაიშალა სტალინის პიროვნების კულტის მხილების კამპანია, მაშ, რისთვის იყო საჭირო ახალგაზრდა, 36 წლის სტალინის ციმბირის გადასახლებაში 40 წლის წინანდელი სექსუალური ცხოვრების წვრილმანების ქექვა? პასუხი იმალება ხრუშჩოვის განზრახვაში, შეეგროვებინა რაც შეიძლება ბევრი მაკომპრომეტირებელი მასალა სტალინზე, რათა აუცილებლობის შემთხვევაში საინფორმაციო სივრცეში „გაესროლა“.

სტალინს დაადანაშაულებდნენ ერთბაშად რამდენიმე ცოდვაში: **პირველი, რა თქმა უნდა, არასრულწლოვანთან ცხოვრვება იქნებოდა. მეორე, ის ფაქტი, რომ სტალინი ოფიციალურად შეპირდა ქალს დაქორწინებას და არ დაქორწინდა** (კურეიკადან წავიდა 1916 წლის ბოლოს, როცა ლიდიას უკვე შეუსრულდა 16 წელი — ქორწინების ასაკი ქალებისთვის რუსეთში 1830 წლიდან. **მესამე — იცოდა, რომ შვილი ეყოლა და არა თუ არ ეხმარებოდა მის დედას, არამედ, 1946 წლამდე თითქმის არ დაინტერესებულა მისი ბედით.**

ყოველივე ამისგან საბჭოთა პროპაგანდას შეეძლო, საკმაოდ შთამბეჭდავი მორალურ-ზნეობრივი „კოქტეილი“ გამოეწურა, მაგრამ 1956 წლის ივლისში ეს იდეა, როგორც ჩანს, უარყვეს და სკკპ ცკ-ის მდივნის წერილი ხრუშჩოვისადმი არქივს გადაეცა, ისევე, როგორც ხსენებული „სეროვის მოხსენება“.

ალექსანდრე იაკობის ძე დავიდოვი დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. 1941 წელს მონაწილეობდა ბრძოლებში დასავლეთის მიმართულებით, შემდეგ — მოსკოვის დასაცავად. იმავე წლის დასასრულს მისი ნაწილი შორეულ აღმოსავლეთში გადაისროლეს. მონაწილეობდა იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლებში, ბატალიონის მეთაურის მოადგილე იყო პოლიტიკურ ნაწილში. იქ დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით, სულ კი 15-მდე ორდენი და მედალი ჰქონდა მიღებული. 1955 წელს დემობილიზაციამ მოუწია მაიორის წოდებით და ოჯახი სტალინსკში(!), დღევანდელ ნოვოკუზნეცკში გადავიდა საცხოვრებლად. ალექსანდრესა და მის ცოლს 7 კლასის განათლება ჰქონდათ. გადაწყვიტეს მეტის მიღწევა და საღამოს სკოლას მიაშურეს, 11 კლასი დაამთავრეს, შემდეგ ტექნიკუმი. ალექსანდრემ — საავაჭრო ტექნიკუმი, მისმა ცოლმა ევდოკიამ — საფინანსო ტექნიკუმი. დამთავრების შემდეგ ქალმა სამშენებლო ორგანიზაციაში დაიწყო მუშაობა. ალექსანდრე კი 20 წელი სხვადასხვა სასადილოში მუშაობდა გამგედ, იყო რესტორან „მეტალურგის“ დირექტორიც.

ალექსანდრე დავიდოვი გარდაიცვალა 1987 წელს ფილტვების კიბოთი, ცოლიც მალე მიჰყვა. დარჩა ორი შვილი: ედუარდი (1941-1992) და იური (დაბ. 1948 წელს ფხენიანში, სადაც მაშინ დისლოცირებული იყო მამამისის სამხედრო ნაწილი).

ალექსანდრე ბოლომდე მტკიცედ ინახავდა საიდუმლოს თავის ნამდვილ მამაზე. შვილებს მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის ჟამს გაუმხილა პირობის ჩამორთმევით, რომ ეს საიდუმლოდ დარჩებოდა. მხოლოდ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ სცადა მისმა ვაჟმა, მშენებელმა ინჟინერმა იურიმ, გაერკვია, მართლა სტალინის შვილიშვილი იყო თუ არა.

2016 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც სტალინის ყველაზე ცნობილმა შვილიშვილმა, თეატრალურმა რეჟისორმა ალექსანდრე ბურდონსკიმ (ვასილი სტალინის ვაჟმა) თანხმობა განაცხადა გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარებაზე, დამტკიცდა (დამთხვევა მამრობითი ხაზით 99,8%), რომ ალექსანდრე ბურდონსკი და იური დავიდოვი ძმები არიან.

ჩემთვის მთავარი იყო მორალური ფაქტორი: იმის დამტკიცება, რომ ჩემი ოჯახის საიდუმლო სავსებით რეალური ამბავი იყო. მშობლებმა ეს საიდუმლო 1971 წელს გამიმხილეს ჩუმად, როცა III კურსზე ვსწავლობდი — ბაბუაშენი იოსებ სტალინი იყოო. ახლა საჩუმათო არაფერია, ნამდვილად დიდი სტალინის შვილიშვილი ვარ. არადა, მე თვითონ სამი შვილიშვილის ბაბუა გახლავართ — განაცხადა იური ალექსნადრეს ძემ, როცა ექსპერტიზის პასუხი შეიტყო.

გადავხედოთ სტალინის შვილიშვილთა საკმაოდ გრძელ სიას:

იაკობის შვილები: ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილი (1936-2016) — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დოცენტი, ავიაციის პოლკოვნიკი. ცხოვრობდა თბილისში, დარჩა მეუღლე ნანა ნოზაძე და ორი ვაჟი — **ბესო** და **იაკობი; გალინა (გულია) იაკობის ასული ჯუღაშვილი** (1938-2007) — დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში მთარგმნელად. გარდაცვალებამდე ვაჟთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში. ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი **სელიმი** (დ. 1970 წ.) დაბადებით ყრუ, გალინას ის შეეძინა არაბი სტუდენტის ჰუსეინ ბენ საადისგან;

ვასილის შვილები: ლინა ვასილის ასული ჯუღაშვილი — ვასილ სტალინის მესამე ცოლის კაპიტოლინა (კაპა) ვასილევას ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, ვ. სტალინმა ის იშვილა; **ბურდონსკი ალექსანდრე ვასილის ძე** (1941-2017) საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის რეჟისორი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; **ნადეჟდა ვასილის ასული სტალინა** (დ. 1943 წ.) სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში. მისი მეუღლე იყო მწერალ ა. ფადეევის შვილი მიხეილ ფადეევი; **ვასილ ვასილის ძე სტალინი** (1945-1964) — გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დროს; **სვეტლანა ვასილის ასული** (1952-1989).

სვეტლანას შვილები: იოსებ გრიგორის ძე ალილუევი (დ. 1945), ექიმი, ჰემატოლოგიის სპეციალისტი, რსფსრ-ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გრიგორი მოროზოვისგან; ჟდანოვა **ეკატერინა იურის ასული** (დ. 1950 წ.). იური ჟდანოვისგან; **პიტერსი ოლგა (ლანა)** (დაბ. 1971 წ.) აშშ მოქალაქე, ამერიკელ არქიტექტორ პიტერსისგან).

ახლა ამ სიას ემატებიან **ედუარდ ალექსანდრეს ძე დავიდოვი** (1941-1992), რომელსაც დარჩა ვაჟი **იგორი,** მოსკოველი ბიზნესმენი და **იური ალექსანდრეს ძე დავიდოვი** (დაბ. 1948 წ.), მშენებელი ინჟინერი. ჰყავს სამი შვილიშვილი.

Ი. ბ. სტალინის შვილიშვილი იური ალექსანდრეს ძე დავიდოვი.

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „სრ“ № 18



უკრაინა მზად არის აშშ-სთან უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის ახალი ფორმებისთვის

— ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა კიევში, აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ვლადიმირ ზელენსკის თქმით, **უკრაინის სუვერენიტეტის დაცვის კუთხით, აშშ იყო, არის და იქნება მთავარი მოკავშირე. უკრაინის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ აშშ უფრო აქტიურად ჩაერთვება აღმოსავლეთ უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და ყირიმის დეოკუპაციის პროცესში.** უკრაინის პრეზიდენტი ეკონომიკურ საკითხებსაც შეეხო და განაცხადა, რომ აშშ-ს შეუძლია მოხსნას უკრაინის ფოლადის იმპორტზე არსებული 25-პროცენტიანი გადასახადები, რაც უკრაინის მეტალურგიული ექსპორტისთვის მგრძნობიარე საკითხია.

კანბერაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

ავსტრალიის ფედერალური ტერიტორიის (ACT) ხელისუფლებამ ტყის ხანძრების გამო ქვეყნის დედაქალაქ კანბერაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, კანბერის რეგიონში ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი ხანძრები მძვინვარებს. კერძოდ, რეგიონის სამხრეთ ნაწილში 18 500 ჰექტარი იწვის. ხელისუფლება ადგილობრივებს შესაძლო ევაკუაციისთვის მზადყოფნისკენ მოუწოდებს.

ავსტრალიის ფედერალურ ტერიტორიაზე 400 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ტერიტორიას ეკუთვნის ქალაქი კანბერა, მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ზონა და ეროვნული პარკი ნამაჯი. ტყის ხანძრები ავსტრალიაში სექტემბრიდან მძვინვარებს. სტიქიას 33 ადამიანი ემსხვერპლა, ათასობით სახლი კი ხანძარმა გაანადგურა.

ცხოველთა ინტერესებს „იცავენ“?

უკრაინის კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტრო 2021 წლიდან ცირკებსა და გასართობ შოუებში ცხოველების გამოყენების აკრძალვის შესახებ კანონპროექტს ამზადებს.

„დარწმუნებულები ვართ, რომ კანონს მიიღებენ, რადგან საზოგადოების მხრიდან ამის დიდი მოთხოვნა არსებობს“, — განაცხადა მინისტრის მოადგილე ირინა პოდოლიაკმა. სამინისტრო ცირკებს მიმდინარე წლის განმავლობაში პროგრამის განახლებაზე მუშაობას მოუწოდებს, რათა 2021 წლიდან მათ ცხოველები აღარ გამოიყენონ. უწყების მონაცემებით, ახლა უკრაინის 7 სახელმწიფო ცირკში 317 ცხოველია. სამინისტრომ უკვე მოაწერა ხელი მემორანდუმს კერძო ზოოპარკთან, რომელიც ცხოველებზე სათანადოდ იზრუნებს.

პალესტინამ ისრაელთან დადებული შეთანხმება გააუქმა

პალესტინის ადმინისტრაციამ ისრაელთან 1995 წელს დადებული ოსლოს შეთანხმება გააუქმა. პალესტინის ადმინისტრაციის სამოქალაქო საქმეთა მინისტრმა ჰუსეინ ალ-შეიხმა ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“-სთან ინტერვიუში თქვა, რომ გადაწყვეტილების შესახებ ისრაელი უკვე ინფორმირებულია. პალესტინის ადმინისტრაცია იმედს გამოთქვამს, რომ არაბული და მუსლიმური ქვეყნები სწორედ პალესტინის პოზიციას დაუჭერენ მხარს.

პალესტინის ადმინისტრაციის თხოვნით, არაბული ლიგა პირველ თებერვალს მინისტრების დონეზე საგანგებო შეხვედრას გამართავს და დონალდ ტრამპის ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმაზე იმსჯელებს. ისრაელს და პალესტინის ადმინისტრაციას შორის დადებული ოსლოს შეთანხმება, „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ მიერ ისრაელის სახელმწიფოს აღიარებას და ისრაელის მიერ „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“, როგორც პალესტინელი ხალხის ოფიციალურ წარმომადგენლად აღიარებას ითვალისწინებდა. შეთანხმების მიხედვით, დასავლეთ ნაპირი და აღმოსავლეთ იერუსალიმი სამ, „ეი“, „ბი“ და „სი“ ნაწილებად იყოფოდა. „სი“ ზონაში ამჟამად 300 000 პალესტინელი ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობა ბედუინია. აღნიშნული მოსახლეობის ძირითადი საცხოვრებელი კარვები, ქარავნები და გამოქვაბულებია.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია მოქალაქეების იური ნებიერიძის (პ/ნ 18001057407), მაგული ნებიერიძის (პ/ნ 18001056450), მალხაზ ნებიერიძის (პ/ნ 18001049889) და ნათია ნებიერიძის (პ/ნ 18001033158) თანასაკუთრებაში არსებული, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.509) მთლიანი ფართობის 3615 კვ.მ-ის ნაწილი 2256 კვ.მ.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან იური ნებიერიძესთან (პ/ნ 18001057407), მაგული ნებიერიძესთან (პ/ნ 18001056450), მალხაზ ნებიერიძესთან (პ/ნ 18001049889) და ნათია ნებიერიძესთან (პ/ნ 18001033158) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების: ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.509) მთლიანი ფართობის 3615 კვ.მ-ის ნაწილის 2256 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონისდანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/626 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ იური ნებიერიძის (პ/ნ 18001057407), მაგული ნებიერიძის (პ/ნ 18001056450), მალხაზ ნებიერიძის (პ/ნ 18001049889) და ნათია ნებიერიძის (პ/ნ 18001033158) თანასაკუთრებაში არსებულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.509) მთლიანი ფართობის 3615 კვ.მ-ის ნაწილზე 2256 კვ.მ-ზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების იური ნებიერიძის (პ/ნ 18001057407), მაგული ნებიერიძის (პ/ნ 18001056450), მალხაზ ნებიერიძის (პ/ნ 18001049889) და ნათია ნებიერიძის (პ/ნ 18001033158) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია მოქალაქეების გიორგი ნებიერიძის (პ/ნ 18001056744), დავით ნებიერიძის (პ/ნ 18001050598), თამარ ნებიერიძის (პ/ნ 18001056754) და ნანა კვანტრიშვილის (პ/ნ 18001057252) თანასაკუთრებაში არსებული, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.46.236) მთლიანი ფართობის 1346 კვ.მ-ის ნაწილი - 482 კვ.მ.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან გიორგი ნებიერიძესთან (პ/ნ 18001056744), დავით ნებიერიძესთან (პ/ნ 18001050598), თამარ ნებიერიძესთან (პ/ნ 18001056754) და ნანა კვანტრიშვილთან (პ/ნ 18001057252) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების: ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.46.236) მთლიანი ფართობის 1346 კვ.მ-ის ნაწილის - 482 კვ.მ-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/628 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ გიორგი ნებიერიძის (პ/ნ 18001056744), დავით ნებიერიძის (პ/ნ 18001050598), თამარ ნებიერიძის (პ/ნ 18001056754) და ნანა კვანტრიშვილის (პ/ნ 18001057252) თანასაკუთრებაში თანასაკუთრებაში არსებულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.46.236) მთლიანი ფართობის 1346 კვ.მ-ის ნაწილზე - 482 კვ.მ-ზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების გიორგი ნებიერიძის (პ/ნ 18001056744), დავით ნებიერიძის (პ/ნ 18001050598), თამარ ნებიერიძის (პ/ნ 18001056754) და ნანა კვანტრიშვილის (პ/ნ 18001057252) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება

№ 1-1/598 23 / დეკემბერი / 2019 წ.

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილმა ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველმა კომისიამ განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 03 აპრილის №01-01-10/1531 და 2019 წლის 20 ნოემბრის №01-01-10/5726 განცხადებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში, „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი – გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება – გაფართოების მშენებლობის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ქ. ბათუმში საცხოვრებელი ფონდის გაზრდამ წარმოშვა ახალი ქალაქმშენებლობითი პრობლემები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია საინჟინრო ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო გზებისა თუ კვანძების განვითარება-განახლების აუცილებლობა. საინჟინრო ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კვანძების განვითარების მიზნით ქ. ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს ახალი გზების მშენებლობა, ასევე, არსებული სატრანსპორტო ქსელების გაგრძელება, გაფართოება-რეკონსტრუქცია. ერთ – ერთ ასეთ სატრანსპორტო კვანძს, რომლის განვითარების აუცილებლობაც არსებობს, წარმოადგენს ქალაქ ბათუმში „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობა. ამჟამად, ამ გზის მშენებლობის ნაწილი განხორციელებულია, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული გზის მშენებლობა განტვირთავს, როგორც ბათუმში ავტომანქანების მოძრაობას, ასევე ხელს შეუწყობს სამრეწველო ზონის განვითარებას, ვინაიდან გზა გადის სწორედ სამრეწველო ზონის, მდინარე ჭოროხის სანაპიროდან მარჯვენა მხარეს. გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ სატრანსპორტო საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სატვირთო ავტომობილები, რომლებიც ეზიდებიან სამრეწველო დანიშნულების მასალებს აღარ გაივლის ქალაქის სატრანსპორტო საშუალებით გადატვირთულ, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე.

ქალაქ ბათუმში „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 05 მარტის №22 განკარგულებით დამტკიცდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეებისათვის/მოსარგებლეებისათვის კომპენსაციის გაცემის წესი (შემდგომში წესი), რომელიც არეგულირებს საავტომობილო გზის განთავსების ზოლში მოხვედრილი უძრავი ქონების იდენტიფიცირების, შესაბამისი აზომვითი ნახაზების მომზადებისა და მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისათვის/მოსარგებლეებისათვის კომპენსაციის გაცემის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული წესის შესაბამისად, საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების ცალკეულ მესაკუთრეებთან და მოსარგებლეებთან მიღწეული იქნა შეთანხმება ქონების ნებაყოფლობით გადაცემაზე და გაიცა შესაბამისი კომპენსაციები.

დასახელებული მშენებლობის არეალში მოექცა მოქალაქეების ასლან გაბიტაძისა (პ/ნ 61006076027) და ლიანა გაბიტაძის (პ/ნ 61006030421) საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ჭოროხის ქუჩა №5-ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1034 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1, №2 (საერთო ფართი 68.70 კვ.მ), უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №05.35.25.202. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ასლან გაბიტაძეს და ლიანა გაბიტაძეს ეცნობათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №05.35.25.202) სანაცვლოდ კომპენსაციის მიღების თაობაზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საექსპერტო დასკვნებით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების შესაბამისად, რაზეც მათ უარი განაცხადეს.

ვინაიდან ზემოადნიშნული გარემოება აფერხებს პროექტის განხორციელებას, ხოლო სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე შეუძლებელია მშენებლობის გაგრძელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ წერილობით მომართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურის დაწყების შუამდგომლობით და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭება მოითხოვა.

წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმებისა და გარემოებების შეფასების შედეგად, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შუამდგომლობა მოთხოვნილ უძრავ ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტს.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩა №5-ში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 05.35.25.202) მესაკუთრეა ასლან გაბიტაძე (პ/ნ 61006076027) და ლიანა გაბიტაძე (პ/ნ61006030421).

დადგენილია, რომ ზემოდასახელებული პროექტის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების არეალში ექცევა ასლან გაბიტაძისა და ლიანა გაბიტაძის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

დადასტურებულია, რომ მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გახვისების წინადადება, საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც მათ უარი განაცხადეს.

საკუთრების უფლების, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების, სამართლებრივ გარანტიას, წარმოადგენს კონსტიტუცია. უშუალოდ საკუთრების უფლების კონკრეტული კონსტიტუციური გარანტია ასახულია კონსტიტუციის მე-19 მუხლში, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების გარანტია, პირველ რიგში, ნიშნავს თითოეული მესაკუთრის უფლებას თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი და სხვა პირების ნებისმიერი ჩარევისგან. თუმცა საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის ამ უფლების შეზღუდვას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილების ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისგან“. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საკუთრების ჩამორთმევაში იგულისხმება ექსპროპრიაცია, რომლის პირობები და წესი დადგენილია „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ,,ამ კანონის მიზანია, განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისა და ექსპროპრიაციის განხორციელების წესი. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობისათვის“.

ვინაიდან, ვერ ხერხდება მესაკუთრეებთან უძრავი ქონებების გამოსყიდვაზე თანხმობის მიღება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება.

ამასთან, საექსპროპრიაციო ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით ექსპროპრიატორისა და ქონების მესაკუთრის შეუთანხმებლობის საკითხის განხილვა/გადაწყვეტა არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებას. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით – „თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე ან კომპენსაციის სახით შეთავაზებული ქონების გადაცემაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

ამდენად, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის გაგრძელება-გაფართოების მშენებლობის პროექტი ჩაითვალოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიენიჭოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლება მშენებლობის ფარგლებში მოქცეულ, ქალაქ ბათუმში, ჭოროხის ქუჩა №5-ში მდებარე, 05.35.25.202 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ასლან გაბიტაძისა (პ/ნ 61006076027) და ლიანა გაბიტაძის (პ/ნ61006030421) თანასაკუთრებაში არსებულ 1034 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობა №1 და №2-ზე (საერთო ფართი 68.70 კვ.მ) და მრავალწლიან ნარგავებზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კ.მ, №6).

მინისტრი **ნათელა თურნავა**

ხელმოწერილია
შტამბპდასმულია
ელექტრონულად

◎ დღეს „დინამოზე“

რაგბი ევროპას რუმინეთით ვიწყებთ

„ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა 2020 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის სასტარტო მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

სეზონის პირველ შეხვედრას მთავარ კონკურენტ რუმინეთის ნაკრებთან ჩვენი გუნდი დღეს თბილისში, „დინამო არენაზე“ გამართავს და ის 18 საათზე დაიწყება.

გამარჯვებული წლის პირველივე მატჩში მიიღებს პირველ ჯილდოს – რუმინეთთან საზიარო „ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასს“, რომელიც საქართველოსა და რუმინეთს შორის ურთიერთშეხვედრებში 2002 წლიდან თამაშდება. დღემდე ის „ბორჯღალოსნებმა“ 12-ჯერ, ხოლო რუმინელებმა 6-ჯერ მოიგეს. 2011 წლიდან დღემდე საქართველოს ნაკრები მას 8-ჯერ დაეუფლა, რუმინეთი კი – ერთხელ.

აღსანიშნავია, რომ „ბორჯღალოსნებს“ კარპატელებთან საშინაო მატჩი 2003 წლის შემდეგ აღარ წაუგიათ, ყველაზე დიდი სხვაობით კი მეტოქე 2016 წელს 38:9 დაამარცხეს. შარშან გუნდებმა რუმინეთში, კლუჟში ითამაშეს და საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს 18:9 სძლია.

ლევან მაისაშვილმა წლის პირველი შეხვედრისთვის არჩევანი ნაცად მორაგბეებზე შეაჩერა. რუმინეთთან მატჩს და, ზოგადად, რაგბი ევროპას გამოტოვებს „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანი მერაბ შარიქაძე, რომელიც მუხლის ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას გადის.

„სტეჟართან“ საქართველოს მიხეილ ნარიაშვილი უკაპიტნებს. გამოცდილი ბურჯი დღეს ნაკრების კვართით მე-60 შეხვედრას ჩაატარებს. მასთან ერთად შერკინების პირველ ხაზში თამაშს იწყებენ შალვა მამუკაშვილი და ბექა გიგაშვილი. მეორე ხაზში კოტე მიქაუტაძე და ნოდარ ჭეიშვილი შეწყვილდებიან, ხოლო მესამე ხაზში თამაშს ოთარ გიორგაძე, გიორგი ცუცქირიძე და ბექა გორგაძე იწყებენ. აღსანიშნავია, რომ სამივე მესამეხაზელი 23 წლისაა, ჭეიშვილმა და ცუცქირიძემ კი ტრავმის გამო შარშანდელი მსოფლიო თასი

გამოტოვეს და ნაკრებს ახლა უბრუნდებიან.

9 ნომრად იწყებს თამაშს ასევე 23 წლის ვასილ ლობჟანიძე და ის უკვე 50-ე კეპს მოიხვეჭს. მგეზავად მას ახალგაზრდა თედო აბჟანდაძე შეუწყვილდება. ცენტრში გიორგი კვესელაძისა და დავით კაჭარავას დუეტს ვიხილავთ. „კაჭისთვის“ ეს 120-ე სანაკრებო მატჩი იქნება. ფრთებზე თამაშს ალექსანდრე თოდუა და მირიან მოდებაძე იწყებენ, ხოლო ფულბეკი ლაშა ხმალაძე იქნება, რომელიც მე-80 კეპს მოიხვეჭს.

მე-80-ე სანაკრებო მატჩია შალვა სუთიაშვილისთვისაც, რომელიც მეორე ხაზის მარქაფაშია. მესამე ხაზში შეცვლაზე ბექა საღინაძე შევა, ხოლო პირველ ხაზში გურამ გოგიჩაშვილს, გიორგი მელიქიძესა და გიორგი ჭყოიძეს ვიხილავთ.

9 ნომრის მარქაფა გელა აფრასიძეა, ხაზში თამაშს კი ლაშა მალაღურაძე და სოსო მათიაშვილი გააძლიერებენ.

კობა კობახიძე

◎ ევრო – 2022

„ვაი ასეთ მასპინძელსა“

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპის წინასწარი რაუნდის მეორე ტურში ავსტრიას შეხვდა და დიდი ანგარიშით – 9:2 დაამარცხა.

საინტერესოა, რომ თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართულ „ფ“ ჯგუფის მეორე შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა ანგარიშის გასახსნელად 26 წამი იკმარა. სიმი საიოტმა ოთხი გოლი გაიტანა, არჩილ სებისკვერაძემ ჰეთ-თრიქი (3 გოლი) შეასრულა, ხოლო თითო ბურთი თალესმა და ვახტანგ ჯვარაშვილმა შეაგდეს.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში გერმანია კოსოვოს დაუპირისპირდა, 8:4 დაამარცხა და მეორე ადგილზე გადავიდა.

ორი ტურის შემდეგ საქართველო ექვსი ქულით დაწინაურდა და ჯგუფის ლიდერია. მესამე ტურის მატჩები თბილისის ახალ სპორტის სასახლეში დღეს გაიმართება. „ჯვაროსანთა“ შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საქართველოს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

ბოლო ტური
გერმანია – ავსტრია 19:00,
საქართველო – კოსოვო 22:00.

გიორგი ზოთაძე

◎ ტრადიცია

გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ



ლომიძეების **საგვარეულო დარბაზის გამგეობის ინიციატივით თბილისში, გლდანის ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის საჭიდაო ხალიჩაზე მეორედ გაიმართა სახელოვანი მამულიშვილის, მსოფლიოში აღიარებული ფალავნის, მსოფლიოს ორგზის, XIX ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონის, ევროპის ორგზის და სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებულის, ლომიძეების გვარის ღირსეული და საამაყო შვილის შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი.**

წინა წელთან შედარებით, ამჯერად ტურნირი ბევრად ორგანიზებული და მრავალრიცხოვანი იყო – საქართველოს ოცი რაიონის 180 ახალგაზრდა მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას.

შეჯიბრი ათ წონით კატეგორიაში გაიმართა. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ხალიჩაზე ვიხილეთ მოზარდთა შეუპოვარი ჭიდაობა, ილეთების კასკადი, გამარჯვებისადმი თავდაუზოგავი ლტოლვა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გორელი **ნიკოლოზ ბოჭორიშვილი,** ყვარლელი **დავით ჯუნაშვილი,** აჭარელი **საბა ლაზიშვილი,** ხაშურელი **ლაშა ლომიძე,** ამბროლაურელი **საბა კოხრეიძე,** გორელი **ლუკა ვანიშვილი,** ხაშურელი **გიორგი ნოზაძე,** გორელები **ნიკოლოზ მაისურაძე, დაჩი პაპინაშვილი,** თბილისელი (ხაბელოვის სკოლის აღსაზრდელი) **რეზო გაგლოევი.** სწორედ ამ უკანასკნელმა მოიპოვა შოთა ლომიძის სახელობის სპეციალური პრიზი.

გულწრფელად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მიერ მემორიალი უნაკლოდ იყო ორგანიზებული, რაც იმის დასტურია, რომ ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი **თამაზ გეგეშიძე)** განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს მომავალი თაობის მოჭიდავეთა ღირსეული ცვლის აღზრდა-დავაჟკაცებისათვის.

ფასდაუდებელია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლების, ბატონების **ჯონი ლორიას, გიორგი კიკაბიძის, გიორგი კვინიკაძის, გოჩა კირკიტაძის, კახაბერ დობორჯგინიძის, ზურაბ ქალდანის, თამაზ ბენდიანიშვილის** და სხვათა წვლილი ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრების მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარებაში.

ორი დღის მანძილზე დილიდან გვიანობამდე მოზარდების ასპარეზობას გამოცდილი მწვრთნელების მხრიდან ყურადღება არ მოკლებია.

შოთა ლომიძის სახელობის ტურნირის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლომიძეების საგვარეულო დარბაზის გამგეობის წევრები, ყოფილი მოჭიდავე **ოლეგ ლომიძე,** კოდორის ხეობის მთავარანგელოზთა კეთილმოსურნე ბერი **იერემია (ლომიძე), გედევან ლომიძე** და სხვები, რომლებმაც გამარჯვებულებსა და შეჯიბრების ორგანიზატორებს ლომიძეების საგვარეულო დარბაზის საპატიო დიპლომები გადასცეს.

მიმდინარე წლის ბოლოს ჭიდაობის ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი კიდევ უფრო მასშტაბურად ჩაატაროს.

ვალერიან ლომიძე,
ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი

◎ დავიმსახურეთ! – **კეისარს – კეისრისა**

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების თვალსაჩინო პროგრესისა და ევროპის ზედიზედ ოთხ უკანასკნელ ჩემპიონატზე სტაბილური თამაშის გათვალისწინებით სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ რევაზ ჩომახიძის გუნდი ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირში ოფიციალურად მიიწვია!

აღნიშნულ შეხვედრებს 20-26 თებერვალს როტერდამი უმასპინძლებს, სადაც „ჯვაროსნებთან“ ერთად იაპონური ფორუმის 3 ან 4 საგზურისათვის ჰოლანდია, ბრაზილია, კანადა, ირანი, ყაზახეთი, მონტენეგრო, საბერძნეთი, ხორვატეთი, გერმანია, რუსეთი, რუმინეთი და, შესაძლოა, აფრიკის რომელიმე ქვეყნის ნაკრები იბრძოლებენ.

ბევრი რამ 20 თებერვალს, ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის შემდეგ დაზუსტდება.

ბეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერი – **მხოლოდ შენგელია...**

ევროლიგაში მორიგი მარცხი განიცადა თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“. ესპანური გუნდი პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ ესტუმრა და ათი ქულის სხვაობით – 70:80 წააგო.

ბერძნებმა მეტოქეს ოთხივე პერიოდში აჯობეს და, ბუნებრივია, გამარჯვების მოპოვება დიდად არ გასჭირვებიათ. სტუმართა რიგებში საუკეთესო ისევ გუნდის კაპიტანი შენგელია იყო, მაგრამ მხოლოდ მისი გარჯა საკმარისი არ გამოდგა.

თორნიკემ 30 წუთში 14 ქულა, 5 მოხსნა, 7 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. „ჯვაროსანმა“ მძიმე ფორვარდმა 9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა, რაც ვიტორიელთა რიგებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოდგა.

მეტ ჯენინგმა 16 წუთი გაატარა პარკეტზე, ხსენებულ დროში კი მხოლოდ 5 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი შესძინა ბასკებს. სხვათა შორის, მან აღნიშნულ შეხვედრაში ევროლიგის ეგიდით 250-ე სამქულიანი მიითვალა.

„ბასკონიას“ 8 გამარჯვების წილ 14 მარცხი აქვს და მე-14 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 5 თებერვალს მადრიდში „რეალს“ ესტუმრება.

ვიტალი ჯაფარიძე

სანთელი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტული რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი ვეტერანი კოლეგა და ფოტოხელოვანი, გაზეთ „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი რუსთავში, ქალაქის საპატიო მოქალაქე და ფოტომემატიანე, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის საამაყო შვილი



რაჟდენ გაბრიჭიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„ჭკვიანი კამერები“ ტექდათვალიერებაზე მანქანებს არ აჯარიმებენ?!

„ჭკვიანი კამერების“ გაუმართაობის გამო მძღოლები თავს არიდებენ ტექდათვალიერების გავლას. ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციის ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებული 1 300 000 მანქანიდან ტექდათვალიერება მხოლოდ 788 000 ავტომობილმა გაიარა.

ამ ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, ერთ-ერთია რეალურად არარსებული ავტომობილები, რომლებიც აღრიცხვიდან არ არის მოხსნილი და მეორე ხარვეზია გზებზე ადმინისტრაციული გაუმართაობა, რის გამოც განსაკუთრებით რეგიონებში მანქანები ტექდათვალიერების გარეშე გადაადგილდებიან. ამიტომ საკმაოდ ბევრი სატრანსპორტო საშუალება თავს არიდებს სავალდებულო ინსპექტირებას, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერიმენტითაც დადასტურდა.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ე.წ. ჭკვიანი კამერების გაუმართაობაა, რომლებიც არ აღრიცხავენ ავტომობილებს, რომლებსაც შემოწმება გავლილი არა აქვთ. არასამთავრობოებმა რამდენიმე ქალაქში ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელმაც დაადასტურა, რომ რიგ შემთხვევებში ე.წ. ჭკვიანი კამერები არ მუშაობს.

„ბოლო 3 თვის განმავლობაში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონსა თუ ქალაქში გზებზე განთავსებული ე.წ. ჭკვიანი კამერები გათიშულია და არ ფუნქციონირებს. აღნიშნული ინფორმაცია, რეალურ ვითარებაში გადაამოწმა საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციამ, რომელმაც მონიტორინგისთვის შეარჩია შემდეგი მუნიციპალიტეტები: რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, წნორი, გორი, თერჯოლა, ქუთაისი, წყალტუბო, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ახალციხე, ბათუმი. დაკვირვება განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით: საქართველოს მუნიციპალიტეტებში ყველა კამერასთან იმოძრავა სხვადასხვა ავტომობილმა (სხვადასხვა სანომრე ნიშნით), რომელთაც პერიოდული ტექინსპექტირების გავლის ვადა უკვე ამოწურული (გადაცილებული) ჰქონდათ. არც ერთ შემთხვევაში, არც ერთ მუნიციპალიტეტში კამერების მიერ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა, რითაც გავრცელებული ინფორმაცია კამერების პროგრამული გაუმართაობის შესახებ დადასტურდა.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კამერების მიერ, შესაძლოა, არ ხდება სრულფასოვანი რეაგირება სხვა დარღვევებზეც: წითელ შუქნიშანზე გავლა, ორმაგი ღერძულა ხაზის გადაკვეთა, მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილება. თუმცა ამ ეტაპზე ასოციაციამ გადაამოწმა მხოლოდ

ერთი პარამეტრი (ტექინსპექტირების კომპონენტი) ე.წ. ჭკვიანი კამერის ფუნქციებიდან.

აღსანიშნავია, რომ კანონის აღუსრულებლობის აღნიშნული ფაქტი მასშტაბურია და 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ ტექინსპექტირების რეფორმას შეუქმნა საფრთხე. ბოლო თვეების განმავლობაში ინსპექტირების ცენტრებში მომხმარებელთა მიმართვიანობამ იკლო თითქმის 40%-ით.

ჩვენი ორგანიზაციები მხარს უჭერენ ქვეყნის მასშტაბით ე.წ. ჭკვიანი კამერების განთავსების პროგრამას და მიგვაჩნია, რომ საგზაო უსაფრთხოების სტანდარტების ასამაღლებლად ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, თუმცა კამერების გაუმართაობა (თვეების განმავლობაში) შემაშფოთებელ ფაქტად რჩება. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც მხოლოდ 2019 წელს 500-მდე მოქალაქე დაიღუპა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს, ხოლო 8000-მდე დაშავდა/დასახიჩრდა“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს რამდენიმე ორგანიზაცია.

ეკა ბაქრაძე

წყალმომარაგების სექტორში ქსელზე მიერთების საფასური შემცირდება

1 თებერვლიდან წყალმომარაგების ქსელზე მიერთების საფასური მცირდება, — ამის შესახებ ინფორმაციას სემეკი ავრცელებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებში ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების (დიამეტრი — 20 მმ) საფასური 100 ლარით შემცირდება და 500 ლარის ნაცვლად 400 ლარი იქნება.

ამასთანავე, მუნიციპალიტეტებში 200 ლარით მცირდება წყალარინების ქსელზე მიერთების (დიამეტრი — 0-100 მმ) საფასური და 1 თებერვლიდან 1000 ლარის ნაცვლად 800 ლარი გახდება.

რაც შეეხება თვითმმართველ ქალაქებს (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი), მიუხედავად სამუშაოების სირთულისა, სემეკი მიერთების საფასურს არ ცვლის. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორების მსგავსად, წყალმომარაგების სექტორშიც ქსელზე მიერთების დიფერენცირებული საფასურები განპირობებულია თვითმმართველ ქალაქებში ქსელზე მიერთების სამუშაოების სპეციფიკით (ასფალტის საფარის აღება, სხვადასხვა ნებართვების საჭიროება და ა.შ).

1 თებერვალს ამოქმედდება წყალმომარაგების კომპანიების ახალი ვალდებულებაც, რომლის მიხედვითაც 100 მეტრით იზრდება ქსელზე მიერთების რადიუსი. რეგულაციის შესაბამისად, კომპანიამ სრული ტექნოლოგიური ციკლით უნდა უზრუნველყოს ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთება წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელიდან 200 მეტრის რადიუსშიც.

გარდა ამისა, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში შემცირდა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 150-მილიმეტრიანი წყალარინების მილსადენზე მიერთების საფასური.

კერძოდ, თვითმმართველი ქალაქებისთვის საფასური 39%-ით შემცირდა, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებისთვის 57%-ით.

სანთელი

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ხათუნა ხოფერიას დედის

მედეა ხოფერიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

დემურ გადელია თანაუგრძნობს კოლეგას ხათუნა ხოფერიას დედის

მედეა ხოფერიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

სანთელი

გივი შულაროვი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გადრაიცვალა კაცობის, სიკეთის, მეგობრობის ეტალონი

სოსო ნიჟარაძე

და უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.

2 წლის ანიტა ფაცაცია გარდაიცვალა

მძიმე მდგომარეობაში მყოფი 2 წლის ანიტა ფაცაცია, რომელიც საზღვარგარეთ აგრძელებდა მკურნალობას, გარდაიცვალა. ამის შესახებ მისმა ბებიამ Facebook-ზე დაწერა.

„მეტ პოსტს ვერ დავწერ, ერთი თხოვნა მაქვს მარტო, არანაირი ცრემლი და არც ერთი სიტყვა, არც ერთი კომენტარი, დუმილით და გულში ვიგლოვოთ ყველამ ჩვენი ანგელოზი“, — წერს თამუნა გლურჯიძე.

◎ სულიერება

სასწაულმოქმედი ღირსი ანტონ მარტყოფელი, მესვეტე

1 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ანტონ მარტყოფელს. ის ცამეტ ასურელ მამასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. წმინდა იოანე ზედაზნელის კურთხევით.

....ანტონი კახეთს დაემკვიდრა საქადაგებლად. მისმა მადლმოსილმა ლოცვამ და სასწაულებმა უამრავი ხალხი მიიზიდა. ანტონმა მათთვის ეკლესია ააშენა ალაზნის გადაღმა, თვითონ კი მივარდნილ ადგილას დაეყუდა სამოღვაწეოდ. იგი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს.

უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მოდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ ღირს მამას. ერთ საღამოს ირმები ადრე მოვიდნენ დაფეთებულნი. უკან დაჭრილი ნუკრი მოსდევდათ. გაოცებული ანტონი ირმებს კვალში ჩაუდგა და ნახა, რომ მთის ძირას ველზე ვიღაც წარჩინებული ნადირობდა. ის აღმოჩნდა მახლობელი დაბის მამასახლისი. მონადირე გაოგნებული მიაჩერდა მხცოვან ბერს, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა... მამასახლისმა საშიშ კაცად მიიჩნია უცნობი და მხლებლებს უბრძანა, წმინდანი მჭედელთან წაეყვანათ და ხელი მოეჭრათ მისთვის. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ როგორც კი აღმართა წმიდა მამის ხელის მოსაჭრელად, „დავარდა ქუე და ხელნი, ვითარცა შეშანი შეექმნეს“. მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, წმინდა ანტონმა კი მას ჯვარი გარდასახა და განკურნა.

ეს სასწაული სასწრაფოდ აუწყეს მამასახლისს, ის მიხვდა, რომ მის წინაშე ღვთის მადლით შემოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და შეევედრა: „რა გნებავს სთქუ და ყოველი მიგცე“, ანტონმა ქვამარილის ნატეხი მოითხოვა, ღირს მამას მაშინვე მარილის ორი ლოდი მიართვეს. მან მხოლოდ მცირეოდენი ჩამოტეხა და კვლავ თავის სადგომს მიაშურა. ქვამარილი კი სენაკის ახლოს დადო ირმებისთვის. წმიდა ანტონის სახელი მახლობელ სოფლებს მოეფინა. მასთან აუარებელმა ხალხმა იწყო სიარული. ბევრს ისე მოეწონა მისი ცხოვრება, რომ იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. მამა ანტონმა მათთვის მონასტერი ააშენა.

გიული ლიპარტია

კომპანიის ხელმძღვანელი და მისი სამი ყალბისმქნელი თანამშრომელი ამხილეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე კერძო საექსპერტო კომპანიის ხელმძღვანელი და მისი სამი თანამშრომელი ამხილეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ფულადი თანხის სანაცვლოდ, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის გარეშე, დაამზადეს და გასცეს ბეტონის ლაბორატორიული გამოცდის ყალბი ოქმები ბეტონის სიმტკიცესთან დაკავშირებით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით.

CNN TRAVEL-მა ქართული კულინარიის შესახებ სტატია მოამზადა

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მედიასაშუალების CNN-ის სამოგზაურო პლატფორმაზე CNN travel საქართველოს შესახებ კიდევ ერთი სტატია მომზადდა.

საქართველოს კურორტების, ბუნების, ტურისტული მიმართულების შემდეგ CNN-ის სამოგზაურო პორტალი ქართულ კერძებს დაეთმო.

„საქართველოს საუკეთესო კერძები და ადგილები თუ სად უნდა დავაგემოვნოთ“ — ამ სათაურით ვრცელ სტატიას კულინარიის ჟურნალისტი პოლ რიმფლი აქვეყნებს.

სტატიას ეხმაურება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი.

„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში CNN-მა საქართველოს კულინარიის შესახებ კიდევ ერთი სტატია მოამზადა, შედეგად გავლენიანი პლატფორმის მილიონობით მკითხველს საშუალება მიეცა, გასცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ მიმართულებას.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგულ პლატფორმაზე საპრომოციო სტატიების გამოქვეყნება ხელს უწყობს ჩვენი უნიკალური ტურისტული ადგილების, ღირსშესანიშნაობების ცნობადობის გაზრდას და პოზიციონირებას ჩვენს მიზნობრივ ბაზრებზე.

ჩვენი მიზანია, უფრო წინ წამოვწიოთ ის ტურისტული პროდუქტები, რომელიც მოიცავს საქართველოს სათავგადასავლო, ეკო ტურიზმს, კულინარიას, რომელიც ჩვენი უნიკალური ტურისტული პროდუქტია, ღვინოს, რომელიც გამოარჩევს საქართველოს. მხოლოდ საქართველოს შეუძლია თქვას მთელ მსოფლიოში, რომ ის არის ღვინის სამშობლო“, — აცხადებს მარიამ ქვრივიშვილი.

სტატიაში დეტალურად აღწერილია ქართული ტრადიციული კერძების მომზადების წესები, მათ შორის: ხინკალი, სხვადასხვა სახის ხაჭაპური, მწვადი, ღომი, ხარჩო, ჩაქაფული, ამ კერძების დაგემოვნების წესები და ის რეგიონები, სადაც მზადდება.

„საქართველოს მთიანი რეგიონი რაჭა ღვინითა და ღორის ხორცით გამოირჩევა. რაჭა ცნობილია ნახევრად ტკბილი ღვინო ხვანჭკარით და შებოლილი ლორით, ასევე რეგიონი ცნობილია ნივრით შეკმაზული ქათმის კერძით შქმერულით.“ — წერს პოლ რიმფლი, რომელიც CNN-ის სამოგზაურო გვერდის მილიონობით მკითხველს ქართული კერძების დაგემოვნებას ურჩევს.

მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მედიასაშუალებას CNN-ის ტელევიზიას და ვებგვერდს წელიწადში მილიარდზე მეტი მაყურებელი და მკითხველი ჰყავს.

ფოთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ქალაქს გადაეცა

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი საკუთრებაში გადაეცა.

„უახლოეს მომავალში განხორციელდება შენობის რეაბილიტაციისთვის საჭირო პროცედურები. პირველ ეტაპზე მოხდება პროექტირება, რის შემდეგაც ფონდი „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით, შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. რეაბილიტაციის შემდეგ შენობაში ფოთის სამხატვრო გალერეა განთავსდება“, — ნათქვამია სახელმწიფო რწმუნებულის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოდერნის სტილში, წითელი აგურითა და კირქვით ნაშენი შენობა გასული საუკუნის დასაწყისში, 1901-1910 წლებში გერმანელ არქიტექტორ, ედმონდ ფრიკის ავტორობით აშენდა. ნაგებობა უძველესი არქიტექტურული დეტალებით და მხატვრული ელემენტებით ხასიათდება.

„ქართუს“ საქველმოქმედო მილიონები – ქუთაისს!

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე რეგიონში პირველი ადრონული თერაპიის ცენტრის დასაარსებლად „ქართუ“ ფონდმა 40 მილიონი ევროს ქველმოქმედება განახორციელა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილე თამარ გაბუნიასთან, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ ალექსანდრე თევზაძესთან, ფონდ „ქართუს“ წარმომადგენლებთან ვახტანგ ცაგარელთან და ირაკლი კაკაძესთან ერთად ლიონში (საფრანგეთში) პროტონული თერაპიის საერთაშორისო სიმპოზიუმში (ISOP 2020) მიიღო მონაწილეობა, სადაც საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, რადიაციული თერაპიის თანამედროვე მეთოდების განვითარების საკითხებზე იმსჯელეს.

IBA-თან თანამშრომლობის ხელშეკრულება 2020 წლის 28 იანვარს შევიდა ძალაში, რაც ქუთაისის ადრონული თერაპიის ცენტრში ციკლოტრონის ტიპის ორი ამაჩქარებლის — Proteus ® ONE solution — შეძენასა და გრძელვადიანი ოპერაციული და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას გულისხმობს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 40 მილიონ ევრომდეა. დანადგარები ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით და სამედიცინო ცენტრებში განთავსდება. პროტონული თერაპიის კლინიკა პირველ პაციენტებს 2024 წელს მიიღებს და იქნება ერთადერთი რეგიონული მასშტაბით, სადაც ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით მოხდება.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

კობი-გუდაურის გზაზე შეზღუდვები დაწესდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, ინტენსიური თოვის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კობი-გუდაურის მონაკვეთზე, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო სხვა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა ნებადართულია.

ადგილზე იმყოფებიან საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილებას არეგულირებენ.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი მოუწოდებს მოქალაქეებს, დაემორჩილონ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მითითებებს და მაქსიმალურად დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8934; ევრო - 3.1868;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7660;
100 რუბლი - 4.5904; თურქული ლირა - 0.4836;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7037;
1000 სომხური დრამი - 6.0474.

ამინდი 1 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+6
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge